K 24498
2

பத்துமுனை
பதிப்பகம்

№ 575
821.353.1-1
ს 139

საპჭოთა აჭარა

მხატვრული კრებული

К 160923/2
К 24498/2

აჭარის სახელმწიფო გამომცემლობა
ГОСИЗДАТ АДЖАРИИ
1936

№
AKAKI TSERETELI BATUMI PUBLIC LIBRARY
ə-01

СОВЕТСКАЯ АДЖАРИЯ

ХУДОЖЕСТВЕННЫЙ СБОРНИК

რედაქტორი
ლიტრედაქტორი } დ. დუმბაძე

კორექტორი გ. შვანგირაძე
ყდა მხატვარ ს. თეთრაძის
მთავლიტის რწმუნებული № 36
დაკვეთის № 731
ტირაჟი 2000

აჭარის სახელგამის სტამბა-ლით. ლიუქსემბურგის ქ. № 22

საბჭოთა აჯარის მშრომელ სალსს,
რომელმაც წარსულში მრავალი ცანჯვა
და ვაება გადაიტანა,
სალსს, რომლისათვის დღისითაც ვი
მნელოდა
და თავისი ქვეყნის გერად იყო გამოცსა-
დემული —
დღეს — საბჭოთა ქვეყნის უმედნიერეს
შვილებს, სტალინური მბრძენველობის სხი-
ვებით გამთბართ, გამარჯვებულთ, რომ-
ლებიც 15 წლის მანძილზე ლენინ-სტა-
ლინის დიადი პარტიის სელმძღვანელო-
ბით იბრძვიან სოციალიზმისათვის, —
უძღვნიან ამ კრებულს საბჭოთა მწერლები.

ვალაქტიონ ტაბიძე

ოცნება აჭარისწყალთან

ისე ვერ იგრძნო ძველმა ეშმაკმა,
ვერც ძველმა ღმერთმა იმ ელვის ძალი,
თუ რა სისწრაფეს გამოლმა-გაღმა
ამოძრავებდა აჭარისწყალი.

ახმაურება მისი იმ ღამის
ათასი ქარის იყო ხმაური,
ძლიერი ქარი კოლხიდის შლამის—
მსუბუქი ქარი მახინჯაურის.

და აყრუებდა ტყეს ძალისძალათ
ვით უეცარი სიტკბო და ელდა
მრგებელი ქარი ატეხილ ჭალად
და მავნე ქარი ლაქაშის ველთა.

იყო თანაბარ აფრენა ქორის...
უახლოვდება კარებს თანისთან
გრიგალი ქარი ტრიალ სამგორის,
ალერსის ქარი ლაზისტანიდან.

თავაწყვეტილი ვეფხვი, რომელიც
ვერ იგრძნობს რაა ჯაჭვი და რკალი,
ადიდებული, დაუდგრომელი
ეშურებოდა აჭარისწყალიც.

ხიდეებს, სახლებს, მწყემსთა სადგურებს,
ტყეებს და ველებს, ადგილებს მზიანს
მდინარე ანგრევს და ანადგურებს,
ანგრევს ყველაფერს და მიაქვს, მიაქვს.

გამოწვეული დაბურულ ტყიდან
ინდუსტრიალურ „ყაჩაღთა“ სტვენით
ის უცებ შედგა... დასაბამიდან
პირველად შედგა ბრაზით და წყენით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეხედეთ! მიმქროლს სხვა ბედის ეტლით
რა დაბრკოლებას შეხვდება სამტროს.
შესაყენებლად ამართულ კედლით
სურს გადაეშვას და აი, ამ დროს—

თითქო ვიღაცას სურს გადაუდოს
გიგანტიური ფოლადის ხმალი
და უგონობით ქანებაში ხმალს
ტანით შეაჭრას აჭარისწყალი.

შეხედეთ: სისხლი! წყლული, იარა
ჰაერში როგორ იშლება ალის,
მაგრამ ეს შუქი სისხლი კი არა—
ცისარტყელაა ჰიდროცენტრალის.

იგი აშუქებს ქარსა და ნიავს...
აჭარისწყალის ელვარე ბედი
მას შემდეგ მიდის, მიდის და მიაქვს
ახალი დროის შარავანდედი.

სხვაგვარ ვარდის და იის საკრეფად
გველიან წყალნი აჭარისანი,
გმირებს ეძახის თავშესაკრებად
სოციალისტურ დღეთა მიზანი.

—

სალამო ჩაის ჭალებში

შეხედე, როგორ არის ჩასკვნილი
ამ მთების ჩრდილი და ჩაის ჭალა.
ჩამავალ მზეთა ულანასკნელი
და ალისფერი გზა ჩაიშალა.

დღეს ჩემი გული ჰგავს ისეთ მაისს,
რომელს მიჰყვება მილიარდები:
სიმღერა ჩაის, ბუჩქები ჩაის
და უყვითლესი ჩაის ვარდები.

მუხამედ მეგრელიძე

რიყეთის კოლმეურნეებს

როცა გიცქერით აღტაცებით კაჟდება გული;
სალამი სოფლებს, რომ თქვენში მრავლად არის ბრიგადა, რაზმი,
რომ აგიღიათ ჩვენი ეპოქის ჩქარი ტემპები —
და იბრძვით მედგრად, ხალისით და ენტუზიაზმით.

თქვენს გულს სიცოცხლე ახლა სხვაგვარ ხალისში ახვევს,
რადგან ბრძოლებში დიდი არის მიღწევა სოფლის,
დღეს კოლექტივში მშრომელი ხართ ყველა ერთგულად,
ბეგებს არ მიაქვს დღევანდელი თქვენი ნაოფლი...

როცა ბუნებაც კი ატარებს დღეს ახალ აზრებს,
ვის გულს დაბამს ძველებური შური და სისხლი,
გაღმა მღერიან ბრიგადირები შრომის სიმღერას,
მზეს დაუჭრია თავის სხივებით ჩამდგარი ნისლი.

როცა მოვდივარ კოლმეურნეე, შრომაში შენთან
მინდა გადმოგცე სიხარულის ამთაგორება,
დღეს ამ გორებზეც გაბედული კვალი გადადის,
აქ თამბაქოთა ტყე წარმოშვას უნდა გორებმაც.

თუ წინათ გმირი შეიქმნებოდა ხმალით და თოფით,
და სახელისთვის საჭირო იყო მხეცური შებმა,
დღეს სხვაგვარია ბრძოლის მეთოდი; უნდა ვიცოდეთ:
დღეს გმირობისთვის საჭიროა დაიპყრო გეგმა.

წითელ დაფაზე იწერება მისი სახელი,
ვინც მებრძოლია, თესვის გეგმებს გადააჭარბებს,
აბა სად წავა უარესი მასზედ სირცხვილი,
როცა დაფის წინ გაბედულად ვერ გახსნი წარბებს.

ალიო ადამია

ქარიშხალი

I

ჩვენი საუკუნის პირველ ზამთარს,
პირველ ყინვას და პირველ ქარიშხალს
აჯანყებული შეხვდა შავი ზღვა
და ხომალდები ფსკერზე ჩასძირა!

ჩვენი საუკუნის პირველ ლანქერს
და გაზაფხულის წვიმიან დღეებს,
შავი ღრუბლები დასული ზღვამდე
და მდინარენი ქუხილით შეხვდენ.—

პირველ გაზაფხულს და პირველ ცვარნამს
და ფრინველების პირველ მოძახილს,
ზღვაში შემოჭრილ შავ მთა პერანგას
მკერდშემონგრეულს ზღვასთან ბრძოლაში,—

ქარით აშლილ და გადმოყრილ ღრუბლებს
და ხომალდების პირველ რეისებს
ერთი წუთითაც არ დაუყუჩა
და როგორც მტერი, როგორც მოსისხლე—

აჯანყებული შეხვდა შავი ზღვა!
არ დაცხრა, ერთი წუთით არ მოლბა,
რადგან პერანგას ვიწრო ბილიკით
ქარიშხალივით მოიჭრა კობა!

II

იყოს საღამო მყუდრო და მშვიდი,
მშვიდათ გასცილდეს ნაპირს მენავე,—
კახაბერს გულზე დააწვეს ნისლი
(პერანგას ვეღარ შემოხედავენ),—
თუნდ ქარიშხალი ჩავიდეს ზღვაში
და ცხვრების ფარა არეკოს ზღვაზე!
ეფინოს ნისლი მთასა და ბარში,
ან შეიღრუბლოს ქვეყანა ცამდე,—

ნაზიმ ხალვაში—მოსუცი აჭარელი.

ითოვოს, სუსხოს, ყინვა გააკრას,
სავალი გზები წალეკოს ზვავმა..
მაინც ამოვა მზე პერანგადან
და საღამოთი შავ ზღვაში ჩავა!

მაინც იტყვიან—წავიდა ეს დღე,
შემოაღამდა მღელვარე ზღვაში,—
კალენდარს ფურცელს ჩამოახევენ
და კალენდარიც ახალ დღეს გაშლის...

გაშლის ახალ დღეს და ახალ ავდარს,
ახალი ჯანყი მოაქვს ახალ დღეს!
გუშინწინდელი გუშინდელს არ გავს,
შარშანწინდელი კიდევ შარშანდელს...

ქარი ხომ მაინც გადმოვა მთიდან
და ააჯანყებს ზღვასა და ხმელეთს,—
ცისკარი არი, თუ შეიბინდა,
რომ მოიქანცო შენ მაინც შესძელ:

ნახო ეს რისხვა, ეს ქარიშხალი,
ეს მღელვარება ჩასული ზღვაში—
ის ყველგან ცხოვრობს, ის ყველგან არი
და ყველგან ნახავ კობა ჯუღაშვილს...

III

ცხრაასორ წელში თებერვლის სუსხმა
შემოიკრიბა ძალა გმირობის,
ააწრიალა ეს მუდამ ყუჩად
მყოფი და თბილი სანაპირონი.

ღელავდა ზღვა და მთებზე ქარბუქმა
შემოალეწა ხეებს ტოტები,—
აახმაურა ორთაბათომი,
ძანსულის წყნარი მაღაროები!

წვიმდა ოცი დღე და ლანქერებით
სულ წალეკილი იყო შარები—
და ღრიალებდა სხვა გახელებით
სიდერიდისი და მანთაშევი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ის ოცი დღე, ის ნამეხარი,
ის ნიაღვრების, ქარის ოცი დღე,
რომ წრიალებდა მთელი ბოლაზი
და ხომალდები ნაპირს მოსცილდენ,—

როს წყალდიდობამ ზღვაც აამაღლა
და მთების გული ზღვაში ჩარეცხა,—
შენ მიაშურე მაშინ კაპლანას,
სიდერიდისთან და მანთაშევთან —

სხვაგვარად წვიმდა, სხვაგვარად ქუხდა
და ნიაღვარიც იყო სხვაგვარი...
რადგან ეს მხარე სულ მუდამ ყუჩად
იყო და ახლა დადგა ზამთარი!

IV

მზეს ჩვეულებრივ შემოალამდა,
არ ქროდა ქარი და ისე წვიმდა,—
ზღვა ხმაურობდა, მაგრამ არ ჩანდა
(ამღვრეულია იგი, თუ წმინდა).—

და ვინ გაივლის ამ ღამით გზაზე,
ამ დაწყევლილ და ნამეხარ დარში?
აი, მოვიდენ და აილანდენ
და იპარავენ საკუთარ ნაბიჯს!—

წვიმასთან ერთად გახშირდა ლანდი
და შეძახილი ქარხნების კართან,—
როგორც ღრუბელი შავი ნაბადი
გადაიფარა კობამ და არ ჩანს...

V

მან დაარხია ხმა და უმალვე
საფლავის ქვებზე ჩამოჯდა ხალხი
და მისი სიტყვა ხალხის გულამდე
დასული, თითონ იწვევდა ძახილს

გულში!.. და სიტყვა სხვას აღარ უთქვამს
(ახედენ ცას და ღრუბლებს აშლილს),—
ქონდათ ჭიდილი საკუთარ გულთან,
პირველად მიხვდენ რა იყო «კლასი...»

ან რატომ ჰქვია მაღაროს ძანსულ,
ანდა ქარხანას სიდერიდისი,
ანდა ხომალდებს შავ ზღვაში გასულს
ვინ შეუცვალა გზა და რეისი,—

ვინ დაარბია ქედაში ჯანყი,
ან რატომ ხდიან ქედელებს მორჩილს!—
—რომ დამნაშავე ყოფილა კლასი,
მოვაჭრე მათი სისხლით და ხორცით...

ტყე, მდინარე და ხევი მორჩილად
გახადენ, არ ჩანს ნაყოფი მისი,—
და დამნაშავე კლასი ყოფილა
მოვაჭრე მათი ხორცით და სისხლით!

კლასი! ეგ სიტყვა ურჩი და მტკიცე,
ეგ ამბოხი და მებრძოლი სიტყვა,—
აჭარის მთების ღრუბლიან ცის ქვეშ
პირველად გაჩნდა, პირველად ითქვა;

ითქვა და როგორ, რა სიძლიერით,
რა ამბოხი და მღელვარი ძალით!
რომ ჩვენი კლასი არის მშიერი
და დამნაშავე არისო კლასი...

ამართენ თვალი ღრუბლიან ცამდე
და სიტყვა კლასი კიოდა ყურთან...
წამოიშალენ, კვლავ აილანდენ
და იპარავენ ნაბიჯს საკუთარს!..

კობა ზღვის ღელვას უსმენდა ერთხანს
და მღელვარი ზღვა მას გულში ედგა!..

VI

შემოითენა მზემ და დილიდან
შავი ღრუბლები შავ ზღვამ აშალა,—
ჩავიდა მზე და შემოიბინდა
ისე, ხმელეთი ვერ შეამშრალა...

შემოითენა მზემ და დილიდან
ზღვასა და ხმელეთს უნდა უყუროს,
მაგრამ ღრუბელი ვერ მოიწმინდა,
როტშილდიც შეხვდა მას უხმაურო!

არ ღრიალებდა, როგორც გუშინწინ,
ან ათი დღის და ოცი დღის წინათ,—
მართალი არი დღეღამე წვიმს,
მაგრამ ოცი დღის წინათაც წვიმდა...

შემოეცალათ დაზგებს მარჯვენა
და შიში იდგა კედლების შიგნით,—
გაოცდენ, შეკრთენ და დარაჯებმა
და დარაჯებმაც დასტოვეს იგი!

შავი ღრუბლები აშალა შავ ზღვამ
და გაზეთები ყვიროდენ ხალხში:—
აუჯანყებია ეს მუდამ წყნარად
და ყუჩად მყოფი მხარე ჯუღაშვილს!..

VII

უეცრივ კაბინი გაიღო,
ესროლეთ!—თქვა ეს მან თამამად,—
—ოცია! რა მოხდა, რა იყო!
ესროლეთ და საქმე გათავდა!

ზღვა იყო შრიალა და ლურჯი
და გემი ნაპირს რო მოსცილდა
(ის მთელი სისწრაფით გაუშვით),
მოგვესმა: დახვრიტეთ! ოცია...

გემი მიიწევდა სულ წინ
და გული ველურად აინთენ!
თვალებში ჩაუდგათ სისხლი
და მაინც ესროლენ, დახვრიტენ...

ცა იყო ლურჯი და ზღვაც ისე,
ნაპირს რო მოადგენ, თამამად,
ერთმა თქვა: ვესროლეთ, დავხვრიტეთ,
დავხვრიტეთ, მორჩა და გათავდა!..

ტალღაზე მრისხანე მზე იწვა,
ზღვამ სისხლი ნაპირზე გარიყა,—
ნაპირმა სისხლი არ შეისვა
და თითქო გიმზერდა პატიმარს...

VIII

რამდენი სუსხი, ჯანყი წავიდა,
დგეხარ შუაგულ ხალხში კლდესავით,—
შენი აზრივით ღრმაა შავი ზღვა
და ღელვა მისი მძლავრი შენსავით!

რამდენი სუსხი და ჯანყი იყო
ზღვასავით ღრმა და ზღვასავით ვრცელი!—
გადაფურცლონ და კვლავ წაიკითხონ
შენი წარსულის ერთი ფურცელი...

აჭარული პეიზაჟი

I

თუნდ იყოს ქარი და თუნდა წვიმდეს,
დალაგდეს მთაზე ღრუბელი შავი,—
მიჰქუხს, მიირეცხს ლოდებს, ნაპირებს
სუფთა წინწკლება აჭარისწყალი!

დარად გათენდეს, ორთქლად აიტანს
ცვარნამს მზე, შემდეგ შეიშროს ტანი,—
მიჰქუხს, მიიხვეტს ლოდებს თანისთან,
სუფთა წინწკლება აჭარისწყალი!

ხევს ჩამოჰყვება ნახირი დინჯად,
და ნახირს წყალზე აგდებენ მწყემსნი...
იტყვიან ამბავს და როგორც იგავს,
ან როგორც თითონ ფშაველას ლექსი!

აგდებენ ნახირს წყალზე და მაშინ
სხდებიან ქვებზე მწყემსნი კეთილად,—
ძროხის ცურები, ჯიქანი წყალში
გამოსახულა და ჩაკვეთილა...

ჰყვებიან ამბავს და ფოთლის შრიალს
სალამურის ხმა ნაზად აჰყვება,—
აჭარისწყალს კი მიაქვს და მიაქვს
ლოდი—ვიდრე არ დაეკარგება!..

II

აივანზე ვარ და თვალში ჩადგა
ხეობა, ეს მთა, ტყეები ხშირი,—
დაბურულ ტყეში სტვენას რომ აბამს
სკვინჩაა, შაშვი,—საერთოდ ჩიტი...

სცემს გულისფიცარს და შავი შაშვი
შეიფრთხიალებს ბარდში უჩინრად!
ჩიტია იგი და სწორედ მთაში
მხოლოდ ავდრიან ზამთარს უჩივა.

ნაძვია ეს ხე, ნაყოფს არ ისხამს
და წელიწადში უჩვენებს ერთ დროს
და როგორ გასძლოს ზამთარში ჩიტმა
ნაძვის ხეებთან უკურკანტელოდ!

ნაძვია ეს ხე, ნაყოფს არ ისხამს
და თითონ ხალხსაც იყო დრო ჟამი,—
არ ჰქონდა სახლი, არ ჰქონდა მიწა,
აღარც სიმინდი და არც ხორბალი.—

ნაძვია ეს ხე, უჩვენებს ერთ დროს
და ჩიტის მსგავსად მაინც არ ვრჩებით, —
ორტაროიან სიმინდის ღეროს
აჯირითებენ მთაში ბავშვები...

III

კერიის პირად ვისხედით ერთად,
კერია ბადებს ზღაპარს და იგავს;
მას სურდა სხვათა გარშემო ეთქვა
და თავის ირგვლივ არ სძრავდა სიტყვას...

დაართო ძაფი და როგორც ბურთი
შეათამაშა მოხუცის ძალით,—
მცირე ხანს ვსდუმდით და შემდეგ ურთი—
ერთის სახელი გამოვიცანით!

ჰყვებოდა ამბავს მოხუცი ქალი,
თვალშავი კატა ფეხებთან ეწვა.—
შხუილი ისმის—აჭარისწყალი
ლოდებს მიასკდა და მიელეწა...

ან შემართულა ყველა საკრავი
და ათას ძაფით წკრიალებს ერთად,—
ლამეა მთაში და ეს ვარსკვლავიც
ჩაქრება ხან და ხან გამოჩნდება...

სიმღერა მთაში,—მასაც აღელვებს,
იხსენებს წარსულს, გმობს და ცხარდება,
ეს ნაოჭებიც ფერმკრთალ სახეზე
ჩანან წარსულის გამოცხადებად...

ჰყვებოდა ამბავს, მე სტუმრად დავრჩი,
მთვარე მთის გაღმა, ხევებში ჩაწვა,—
მთაში ლამეა და გლეხის სახლში
სახეს გვინათებს ილიჩის ლამპა!..

მამუდ ვარშანიძე

კოლმეურნეობაში

ეს მინდვრები, ეს მთა-ველი,
გორები თუ ჭალა
ბეგის იყო,
განაგებდა იგი.
ცემით სამჯერ აიღებდა
გლეხისაგან ღალას;
ის არაფერს არ დასთმობდა,
არვის ჰქონდა რიდი.

მაგრამ ძალამ ოქტომბრისამ
გამოსცვალა წესი,
მშრომელებმა დაამყარეს
მხოლოდ მათი ნება,
ძლიერია კოლექტივში
ძალა ჩვენი სოფლის,
დღეს ქვეყანას საბჭო მართავს,
როგორც მშრომელთ ნებავს.

სიღარიბეს რა აქვს გლეხთან
აბა დანარჩენი,
მას სდევნიან ქოხებიდან,
ისე როგორც კულაკს.
მაღალ შრომის ტემპებს მისდევს
კოლექტივი ჩვენი.

აზიზ აცამბა—ჩვენი ძვეყანა.

ᲐᲙᲐᲙᲘ ᲩᲮᲔᲗᲔᲚᲘᲡ ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ
№ _____
AKAKI CHKHETELI BATUMI PUBLIC LIBRARY
Ი 24498

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ-16023

სურიე პაპუნაშვილი

აჭარის სოფელი

ატყვია სოფელს შედეგი ზრუნვის,
იხილეთ თითონ, თითონვე ნახეთ,—
აჭარის სოფლის ახალი გული,
აჭარის სოფლის ახალი სახე...

უჭირდა ცხენსაც გავლა ამ მთაზე,
ვაჟკაც მხედარსაც აშმევდა სირცხვილს.—
გაიჭრა კლდე და მოკენჭილ გზაზე
ავტომანქანა მიჰქრის და მიჰქრის...

თუ იწვა ღამე, როგორც ღიმილი
ფერმკრთალი მთვარის... ახლა ვით ეშხი,
ბრწყინავს, ანთია როგორც ჟინჟღილი
ელნათურები აჭარის მთებში...

სწავლობენ ახლა ტოლები ჩემი,
მათი ოცნება და მათი ფიქრი
ისე ლაღია და მიმზიდველი,
ვით ახალ სოფლის ახალი წიგნი...

ბათუმში, ზღვასთან

მოგესალმები ზღვაო დიადო!
მიყვარს ხმაური შენი ტალღების.
მებრძოლი სულის შენა ხარ საზრდო,
ხარ შთაგონება ბრძოლის ჰანგების.

მხიბლავს ზვირთები ცად ანაზიდი,
როს ქარიშხალის ფრთები გახელებს.
შენ ცხრაასხუთის მებრძოლებს ზრდიდი—
გამოიზარდენ და გასახელეს.

შენ გმეგობრობდა თვითონ ბელადი,
მღელვარე გულით შენი მსგავსება.
ძველ მუშებს ახსოვთ: ბჟუტავს სანათი. .
ღარიბულ ქოხში გახსნილა კრება...

გარედ წვიმაა, გარედ ქარია,
ოთახში ისმის ზღვავ შენი ქშენა:
თითქოს ტაშების სიმქუხარეა,
თითქოს კრებაზე ესწრები შენაც.

შურისძიების ძალა სჭედს ლახვარს,
ესწრაფებიან მტარვალთან შებმას,
რადგან, ვით ახალ ქვეყნის დანახვა,
ხმა წინამძღოლის იგრძნეს მუშებმა.

ათასი ფიქრი, ათასი ელვა,
იქ დაიბადა, იქ ბობოქრობდა.
ზღვაო, შენსავით დაიწყო ღელვა,
ვისაც გრძნობა და კაცობა ჰქონდა...

ცხრაასორიდან დაიწყო თქეში
პირველ მებრძოლთა სისხლის ტბორებით
და იმის შემდეგ ნიადაგ თვეში
იყო შეტევა განმეორებით.

აღსდგა ქარხანა, აღსდგა მაღარო,
აღსდგა გლეხობა მუდმივ ჯანყებით
რომ დაენგრიათ ძველი სამყარო
რევოლუციურ მძლე დაჯახებით...

ზღვავ, შენებრ სულით დაუდგრომელი
იყო მრისხანე ბრძოლის სიმღერა...
განვლო დროებამ... ხარობს მშრომელი,
განთავისუფლდა მშრომელთა კერა.

ახლა არმია პროლეტარული,
თავისუფალი და თავმომწონე,
თავის სამშობლო მხრის მოყვარული,
გმირულ ბრძოლების დროებს იგონებს.

სხვა იერი აქვს დღეს შენს ნაპირებს
ამკობს აშია პალმის და ვარდის,
და კვლავ ზედმეტად თვალს გააკვირვებს
ცხრაასხუთელთა ბაღი „ცხრამარტი“...

მიყვარხარ ზღვაო, მსურს შენი ცქერა!
მხიბლავს ზვირთები ცად ანაზიდი,
შენთან მოსულმა გულმა იმღერა:
შენ ცხრაასხუთის მებრძოლებს ზრდიდი...

ᲒᲝᲜᲘᲝ

I

ვინ შეიძლებს ისეთი
ქვის გული იქონიოს,—
აღტაცება არ იგრძნოს
როს შეჰყურებს გონიოს.

მომხიბლავი ბუნებით
ვხარობ განალაღები:
აღმოსავლურ ზღაპრებად
გადაშლილან ბაღები.

ვის უნახავს ზმანება
მსგავსი ტაბახანისა:
ეს ოქროებდასხმული—
ხეა ფორთოხალისა.

თითქოს შესწყდა ღილები
ელეღს პატარძალისა—
აჩენენ ხეხილები
ნაყოფს წარმტაცს თვალისა.

აქ ჰაერი ნაზია,
აქ ჰაერი თბილია,
და როგორც ფანტაზია,
აქ ცხოვრებაც ტკბილია.

მაინც კომკავშირელსაც
ახსოვს იყო დროება,
ეს ქვეყანა ტიროდა,
სწყუროდა მყუდროება.

მაგრამ ახლა ახალი
ზღვიდან მოდის ნიავი,—
წარსულს წაჰყვა წამება,
წარსულს წაჰყვა სიავე.

აქ ჰაერი ნაზია,
აქ ჰაერი თბილია,
და როგორც ფანტაზია,
აქ ცხოვრებაც ტკბილია.

II

პირისპირ დგას,
ზღვას უცქერის
ციხის გალავანი;
და ძველ ამბებს
ღაღადებენ
ძველისძველი ქვანი...

მაგრამ ძველში
სასიამოს
ვინ იპოვის დღეებს,
ძველი ციხე
მოგვაგონებს
სისხლის ღვარს და ტყვეებს...

ამ ფიქრებით
ჩვენ შევაღეთ
ალაყაფის კარი,
ველოდებით
ვნახოთ ხავსი
და ბუნება მკვდარი.

ვფიქრობთ:
შთანთქავს ყურადღებას
ძველი კოშკის თაღი,
მაგრამ...
ჩვენს წინ გადიშალა
თვალწარმტაცი ბაღი.

—„სადაც წინად
სისხლი ეცხო
მიწაზე და ქვაზე,—
დღეს ვაშენებთ
იქ ლიმონებს...
—ამბობს სალუქვაძე.*)

ეგ სიმაგრე
აუღიათ
ციტრუსების ჯარებს,
თოფ-ზარბაზნის
ნაცვლად ვხედავთ
მომარჯვებულ ბარებს.

მწვანე ფოთლებს შორის
ქარვა
მოჩანს სასურველი,
ძველი ციხის
გალავანი
არის მისი მცველი.

---

*) გონიოს საბჭოთა მეურნეობის მთავარი აგრონომი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც ბეგი ჩანს,
არც მთავარი,
გაქრენ როგორც მტვერი
და ზღვის ზვირთთა
მიმოქცევაც
ახალ ჰანგზე მღერის.

პირისპირ დგას,
ზღვას უცქერის
ციხის გალავანი,
ახალ ყოფას
ბაღი ამკობს,
ძველს გვითხრობენ ქვანი.

ახალ აჭარაში

მე არ ვიძახი: რა ნახა თვალმა,
მე აქაური მზრდიდა ჰაერი.
სიყრმიდან მიყვარს ეგ ზღვა, ეს პალმა,
ცისდასავალზე ღრუბლის ნაჭერი.

განუსაზღვრელად მსურს მათი ცქერა,
მსურს ყვავილები ნაირ-ნაირი;
ზღვის გუგუნს ერთვის ჩემი სიმღერა,
ეამხანაგა ტალღებს შაირი.

ჩაის ბუჩქებით მოჭადრაკული
შვენის ტაფობი, შვენის ქედები,
ბანანის ჩრდილში ვზივარ და გული
ხარობს, აღვსილი შემოქმედებით.

ბაღებს ფორთოხლის და მანდარინის
როგორ არ უძღვნას პოეტმა ქება;
ლიმონის სურნელს ძალა აქვს ღვინის,
ჩაის ვარდებით ვინ არ დათვრება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინადაც ვცნობდი ამ არე-მარეს,
მაშინაც ვიყავ მე მოხიბლული,
მაგრამ სიტკბოსთან ვსვამდი სიმწარეს,
სევდით დაჭრილი მტკიოდა გული.

კაეშანს მგვრიდა ტალღების ტაში,
თუმცა მოწაფე ვიყავ პატარა—
ვშუხდი, ვიცოდი—აჭარლებს მაშინ
არ ეკუთვნოდათ მათი აჭარა.

თუმც სიჭაბუკე ხალისს ეძებდა,
გულის სილრმეში მწვდებოდა მოთქმა.
(იქნებ ჩემს სევდას აორკეცებდა,
რომ აჭარული მქონდა მეც მოდგმა).

რუსთა ხელმწიფის, ოსმალთ სულთანის
აჭარას ახსოვს სუსხი სასტიკი,
ახსოვს ჭრილობა ხიშტის და დანის,
ორ ცეცხლის ალში იწოდა იგი.

ხოჯებს მოჰქონდათ ოსმალეთიდან
ცრუმორწმუნების შავი ღრუბელი,
და სიბეჩავე აჭარას ღრღნიდა
როგორც იარა, როგორც დურბელი.

თვითმპყრობელობის შავი რაზმები
აჭარელს არც კი აგდებდენ კაცად,
დაუზოგველნი, როგორც ძაღლები,
უიარაღოს ჰკბენდენ მამაცად.

აჭარელ გლეხთა დაგრეხილ ბედის
სიმწრის უღელს ქვეშ კვნესდენ დღეები,
კისერზე აწვათ ხარაჯა ბეგის,
სძარცვავდნენ, გლეჯდნენ მოხელეები...

კვლავ მენშევიკთა დუხჭირმა ხანამ
ყაჩაღთა ბუდეთ აქცია მხარე,—
ყველა მძარცველი და მუხანათი
აქ თარეშობდა, თითქოს დამხმარე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ აჭარის მშრომელთა ძალამ
გადაიტანა ღამე უკუნი—
და დილა შეხვდა ალისფერ ალამს
თავისუფლების ჰიმნის გუგუნით.

უდიადესმა მზემ ოქტომბერის
ააღორძინა იმისი ღონე.
ის ეხლა ახალ სიმღერებს მღერის,
თავისუფალი და თავმომწონე.

დღეს აჭარელ გლეხს გული აქვს დიდი,
დაბეჩავებას ვერავინ ჰკადრებს;
წყალმა წაიღო ცრუ რწმენის ხიდი,
აღარ იფარებს გულინე ჩადრებს.

რომ მიანათა მანდარინის ხეს
და შვენის მწიფე ნაყოფის კრეფა,
აჭარელ ქალის მომღიმარ სახეს
მხე ულრუბლებო თუ შეედრება!..

დღეს აჭარელი სულ სხვა კაცია,
ახალ ცხოვრებას დაწაფებული,
ეხლა ვარდები და აკაცია
ყვავის, რომ მისი ახაროს გული.

წინად თუ თვლიდენ მას ვიგინდარად
თავის საყვარელ ტურფა მხარეში,
ეხლა გათენდა, გამოიდარა,
ბნელი ძალების შეწყდა თარეში.

ახალ ცხოვრების ანათებს კარებს
მზე დამკვრელობის, გამოგონების;
მთებს კომკავშირის რაზმი ახარებს,
რაზმი ვაჟების და გოგონების.

ესენინივით მსურს დავიძახო:
„მეც კომკავშირლებს მინდა გავდიო...“
მინდა ახალ დროს ხელი შევახო,
მინდა ახალი ვისუნთქო სიო.

მე არ ვიძახი: რა ნახა თვალმა!
მაგრამ ის ხიბლავს გულს აღტაცებულს,
რომ სულ სხვა სხივით უნათებს პალმა
ტურფა აჭარას დღეს განახლებულს.

ვ. ილიუშინი—შემოდგომა აჭარის სოფელში.

ფაფუკუმე დადიანი

ა ი შ ე

მე შენ გიხილე ხალისიან მებრძოლთ კრებაზე
ამხანაგთ შორის მდუმარებდი თავჩაქინდრული
და მეგობართა ყოველ ძალუმ ამოძახილზე
შენ უცნაურად გიღელავდა, გითრთოდა გული.

მოვედი შენთან, მეგობრულად მოგხვიე ხელი,
გითხარი: რისთვის მოგბურვია შავი ფიქრები?
მითხარი: დაო, ოჯახიდან რომ გამოხველი
და დააყოლე: ერთი ქალი აქაც ვიქნები!

გამოეთხოვე სოფლის მინდვრებს, ცივ მთაგრეხილებს,
აქ სხვებთან ერთად მანქანებით ქსოვ დარაიას.
შენი სახელი ისტორიის მძაფრ ქარტეხილებს
შრომით, დიდებით, სიხარულით მძლედ გადაიარს.

ამბობდი: ჩემო ის დრო შენ არ გემახსოვრება,
როცა გულს კლავდა სიღარიბე, გოდება, დარდი.
ეხლა სხივებით შეიმოსა ჩვენი ცხოვრება
და ელვარებამ გაარღვია, დაცხრილა ჩადრი.

მე მაკვირვებდა ელვარება შენი თვალების,
რომელიც ღიმილს აჭყოლოდა, ნაპერწკლებს ჭყრიდა.
შენ გაოცებდა გადაკარგვა ძველი ლანდების
და სიხარული მოისმოდა მაგ მქუხარ ხმიდან.

ჩემი ქვეყანა

ბევრი გახსოვს წარსულ დროში სისხლის ღვრა და ძმებთან ომი,
სისხლისმსმელი წურბელები რომ ძღებოდენ შენი შრომით,
გაგონდება ჩაგვრა, ტანჯვა, როს წარსულში იხედები—
გაუცრუვდათ შენს მჩაგვრელებს ოცნება და იმედები.

შენს მიღწევებს შენი სახე ამაყად და ცხადად ამხელს,
საბჭოეთის ვარსკვლავეთში მშრომელებმა ბედი ნახეს.
აჭარელი გოგონები ა'შენებენ დიად საქმეს
და მზის სხივი დასთამაშებს აჭარელი ქალის სახეს.

დაჭაბუკდი, დავაჟკაცდი, გაიზარდე, გახდი დიდი,
სამუდამოდ მოძმეებთან მეგობრობის გასდე ხიდი.
გვიხარია ახალ დროის, ამ ეპოქის რომ ვართ შვილი,
ჩვენზე ზრუნავს დიდი ქვეყნის მშენებელი ჯუღაშვილი.

დღეს მზის სხივი ეფინება ჩემი ქვეყნის ცის კამარას,
ვესალმები ციტრუსებში გადაფურჩქვნილ ჩვენს აჭარას.
მუდამ, მუდამ მიღწევებით კიდევ უფრო წინ, წინ გვევლოს,
შენთან ერთად გაუმარჯოს ორდენოსან საქართველოს!

ასლან კაიკაიშვილი

საგზოთა აჭარას

გულს უნდა იყოს მუდამ შენს ახლოს,
მუდამ შენს გვერდით ზაფხულს ხვდებოდეს,
გულს უნდა შენი ზეიმი ნახოს
და შენი შრომით ხარბად სტკბებოდეს.

მინდა ვუმზირო ამ ვრცელ ტყე-ველებს,
ამ ნარინჯებით მოფენილ მდელოს;
ეს სიხარული ჩვენ გვამეტყველებს
და გვათქმევინებს მძლე სადღეგრძელოს.

ახლა აქ ღამეც ვეღარ აღამებს,
იცის ეს ყველამ: დიდმა, ბალღებმაც.
ეს ბაღნარები დაცვარ-დანამეს
შავიზღვის ცისფერ, სუფთა ტალღებმა.

შენი გულ-მკერდის თვალმარგალიტი,
განახლებული მიწა, ბებერი,
სხვებისთვის არის მზა მაგალითი
და ახალ გზების მაჩვენებელი.

ჩვენში ამბობენ: როგორც ციდანო
მიწას ეფრქვევა სხივთა კრებული,
ისე ანათებს შენი მიდამო
ახალ ცხოვრებით განახლებული.

გულს უნდა იყოს მუდამ შენს ახლოს,
მუდამ შენს გვერდით ზაფხულს ხვდებოდეს,
გულს უნდა შენი ზეიმი ნახოს
და შენი შრომით ხარბად სტკბებოდეს.

პ. რუსრუა

საბჭოთა აჭარა თხუთმეტი წლისაა

საბჭოთა აჭარა თხუთმეტი წლისაა,
ჰასაკით ჯერ კიდევ ნორჩი, პატარა,
მაგრამ ძალღონით უძლეველია,
რაინდის მკლავებმა კლდეები დაღარა—
ეკლისგან გაწმინდა, დახნა და დაბარა
და იგი ჩაით და ციტრუსით დაფარა.
მიწა მას ნედლი აქვს, ზეცა კი მზიანი!
გულმკერდი უხვი, ნაყოფი—რძიანი.
ქვეყანამ დალეწა სიბნელის გალია
იგი დღეს სიცოცხლის ხალისით მთვრალია.

მთის ნიავებო

მანდარინის და ფორთოხლის ბაღებს,
სხვა მცენარისგან რჩეულებს, კარგებს,
ლიმონის ნერგებს ნაზს და სათუთებს,
ჩაის ხასხასა, ხუჭუჭა ბუჩქებს,
ატმის და ვაშლის ყვავილთა ღილებს,
მწვანე ჯეჯილს და მინდვრის ბილილებს,
მთასა და ველებს, ტყეებს, ბალახებს,
რაც ჩვენ თვალსა და გრძნობას ალაღებს,—
მინდა შევსძახო ყველას—კარგებო!
მათ გადაეცით ჩემი სალამი
თქვენ, საყვარელო მთის ნიავებო...

შალვა იოსელიანი

სტალინური თაობა

როგორც მთვარის ტრფიალება
ჩანჩქერების ნაჟური,—
როგორც ვოდოპიანოვის
სიმღერა ვაჟკაცური;

ვით დამდნარი მთიდან თოვლი,
დაცვენილი ნარინჯი,
ვით ალექსი სტახანოვის
რიჟრაჟური ნაბიჯი;

როგორც მღერის გაზაფხულზე
ხმა ვერცხლიან ზვირთების,
როგორც დურსუნ ნაკაშიძე
დოსტაქარი კვირტების;

როგორც შეკრავს შტოებს მთვარე
ფირუზისფერ კვირტიანს,
როგორც მღერის მოშრიალე
ბაღში არონ კიტია;

ვით რიჟრაჟზე დამფრთხალ ბინდის
გაქცევა და ჩივილი,
ვით მარიკა ფუხდუკიდის
ვერცხლისფერი ღიმილი.

როგორც ხმალის ელვა მზისებრ
ტოვებს ღიმილს ვარდიანს,
ვით ფადიმე გოგიტიძეს
ცაში უნავარდია;

ვით შუქურა სხივთა ჟღერით,
ანთებს ზღვის გულს და კიდეს,
კომკავშირელ ინჟინერის
ბაგიროვის და კიდევ...

ვით შრიალა ნაძვის შტონი
დგას კლდის დასადალავად,
ისე როგორც დაზგებს შორის
მღერის მემედ ფალავა.

როგორც დილის სიხალისე,
შემართული დაირა
ეს სიმღერაც უნდა ისე
ჭექდეს მრავალნაირად.

ისე როგორც ელვა კაჟის
გრიგალური სიმთ ჟღერა,
ამ დიადი გარიჟრაჟის
მშენებელთა სიმღერაც —

მთებს ესმოდეს, ბაღს, ხეს, ყვავილს
ოქროს ფიქრით ნაღებავს,
ჯუღაშვილის რწმენა ყვავის
გულში ბაირაღებად.

იფანტება ეს სიმღერაც
ცაზე ვით ვარსკვლავობა,
ილიმება შვინდისფერად
სტალინური თაობა.

ფოლთოხლების ქარავანი

მწვანე დილა შეშრიალდა
მზე ჩამოწვა შინ და გარედ,—
და გაშლილი მთების კალთა
ფრთებს ორბივით აშრიალებს.

ხე ატირდა დილის ცრემლით—
ცვივა ცვარი როგორც წვიმა,
და სიმღერა მომხიბვლელი
შტოს ფოთლებში ჩაესირმა.

ფორთოხლების ბაღში დილით
გოგონების რაზმი მღერის,
და ნარინჯი მოკრეფილი—
მღიმარი და ქარვისფერი,

იაგუნდის შტოზე მჯდარი--
მოკრეფილი მიაქვთ ბიჭებს—
და მზეც მთაზე გადმომდგარი
ფიქრს კაცივით ანარინჯებს.

არ დაკარგეს შრომა უქმად
რესპუბლიკის გუნდელებმა
და შავი ზღვაც ხარბად სუნთქავს
სუბტროპიკულ სურნელებას.

მზე შემოდის შინ და გარედ
დგას სოფელი უხვი ჯანით,
თვალს აბრუებს მომღიმარე
ფორთოხლების ქარავანი.

მზემ ტატნობი გადასცურა,
მოგავს კანდელს მთებში ნაშენს,—
და შავი ზღვაც ვაჟკაცურად
გაშლილ ფაფარს ათამაშებს.

გ ა რ ი ჟ რ ა ჟ ი

თენდება. ცაზე ცეცხლი ფეთქდება,
ხეებს ქოჩორზე ედება ალი,
ზღვა ღელავს მშვიდად, ჰაერში სკდება
მზე სუბტროპიკულ რიჟრაჟით მთვრალი.

ციმციმებს ცვარი და ალმასივით
მწვანე ნარინჯის ფოთლებს აპკურებს,
ზღვის ფრინველები ტალღებს დაწვივის
და ქარი წივილს ასალამურებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიწის აქოჩრილ ხეთა ნაყოფებს
ქარი, ნიავი ეალერსება,
და მიწას მძიმედ ნაავადმყოფებს
დღის სიხარული ეტრფის ლექსებად.

ქვის ტრანშეებზე მოქუხს მდინარე
როგორც დაჭრილი მხეცი, ნადირი,
მოდის გულდაგულ, მოდის, მძვინვარებს
თურქეთის მთიდან გადმოვარდნილი.

გვინდა ბრძოლაში სისხლი გავწიროთ,
თან ანთებული ხალისი გვინდა,
და აჭარული მიწა ვაქციოთ
საბჭოთა ქვეყნის პირმშო ფლორიდად.

სადაც დღეს დევდა ცრემლი, ქვითინი,
ნახევრად ველურ უხმო მხარეში—
სუბტროპიკული მიწა იცინის
მზით აფეთქებულ სიმხურვალეში.

ვაშენებთ მხარეს, სადაც არასდროს
ცეცხლს არ ჩავაქრობთ მკერდს რომ ანთია,
მხარეს, რომელსაც გმირულ დარაჯობს,
ლენინელების მტკიცე პარტია.

გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი

ყვავილებიც გაიშალა
ვარდი რაა—ია რა,
სიხარულმა ფრთა გაშალა
მთები გადაიარა.

ნაკადული ხმა ჩახჩახით
ლოდებს გადმოჩხრიალებს,
მთა გასძახის, კლდე გასძახის,
იარე! და იარე!

მთა ღრუბლებით უბეს ივსებს
თითქო ჩიბუხს აბოლებს,
ფრინველებმა იკისკისეს—
და მზე ამოაგორეს.

მოაქვთ გული სავსე ხმებით
მზე უვარცხნის დალალ თმებს,
მკერდი სავსე—თულუხები
თვალ ცქრიალა გოგონებს.

მინდორს წყალი და არხია
მზე სივრცეში ვალალებს,
მთა სიმღერამ დაარხია
—კოლექტივო, ჰარალე!

ველს მოედო შრომა ისევ,
მთა სამოსელს იკერავს,
მიწა ისმენს, სივრცე ისმენს,
კოლექტიურ სიმღერას.

—სიხარულო იყავ მალი,
მთებზე გადივალალე,
გვქონდეს უხვი მოსავალი
ვარალალი!.. ვარალე!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ. მანიძე

ახლა იმ ხევში ელსადგურია

1.

ღამე ფიქრებში არწევდა
დიდაჭარას და ყიშლებს...
მთვარე რომ ფარდას ასწევდა
და მთებს ტოვებდა შიშველს,
ქვევით ხევი ჩნდა და ხევის
ბურუსით სავსე კალთა,
ხევში ჩადრიან ხეებით
ლოდი შეჭრილი წყალთან.

ყიშლების გადმონასროლი
კლდეებიანი მხრიდან
ქართულ ხმალივით ჩანჩქერი
ლუსკუმ ხეობას სჭრიდა!
ხევში უძველეს დროიდან
ავაზაკ ბებრუხანით
კარავი შარას ზვერავდა
ფილთა-თოფით და დანით...

„ხოშ-გელდი!“ ხშირად მოხუცი
გამოსძახებდა გარედ
და ქოხში მიაცილებდა
მკზავრებს, ანთებულ კვარით.
ცოტა ხანი და... ალ-კვამლით
დაიკვნესებდა ფილთა...
იმავე ღამეს ნადავლი
იყო ხიმშიაშვილთან...

და როცა მოსახლეობა
თოხით მისდევდა ღამეს,
ჩუმად მარხავდა ხეობა
ყადიოღლებთან გვამებს!..

2.

დღისით ეძინა ბერ-ქოფაკს.
მზე რომ წვებოდა მთებში,
ბნელი კუთხიდან მოქონდა
ნახშირიანი თეფში
და ხელისცნობით, ირიბულ
ტყავზე ავლებდა ხაზებს,
თან ჩიფჩიფებდა უკბილო,
თითქოს აწერდა ასე:

– ეს —უშვილობის წამალი...
—ესეც—მოარჩენს შეშლილს...
—ეს—საიდუმლოს დამალვა...
—ეს - სიყვარულით შეშლის...
შემდეგ კერავდა, მუშტავდა...
და განთიადზე სისხამ
ხოჯის მოგზავნილ მუშტართან
ოქროზე ყიდდა ნუსხას...

სოფლად ამბობდენ, რომ ხევი
კურმუხეთია, უნდო,
შიგ ავი სული ირხევა
და შაითანი ბუდობს.
სულგაყიდული მოხუცი
უცხო ნუსხებით სძლებსო,
მაგრამ ეშმაკი იმასაც
მალე წაართმევს ძვლებსო...

და გაურბოდენ დღისითაც
ხევს და მიდამოს მისას.
ვერვინ ბედავდა მოხუცთან
ხოჯის უნებურ მისვლას!..

3.

შემოდგომა იყო და
ადრე დილით ერთხელ
ბრიგადირი მღეროდა
მიმავალი ხევ-ხევ:

ახლა გუდასახოში
ჭოტი აღარ ბოდავს —
ელდენშია ახორი,
ელდენშია ოდა!

5

ახლა იმ ხევში
ელსადგურია
და ელნათური
ოდების გულში,
ახლა აქ ყოფნას
არ ემდურიან,
როგორც წყევლიდენ
გაჩენას გუშინ!
დღეს უჩხოელი
გლეხი არ კვებავს
უელექტრონოდ
ბოსელში ხარებს,
და სარგინეთის
გადაღმა კვდება
დიდაჭარაში
დაჭრილი მთვარე!..
ყადიოღლებში
ჩაწვა არხები,
პლანტაციები
მწვანედ გაშლილი,
მგზავრებს მოხუცი
ხევში არ ხვდება
და არც მოსისხლე
ხიმშიაშვილი.

ხასან ოქროპირიმე

შრომის სიხარული

შემოხედეთ მშრომელთ რიგებს—
მათ მარჯვენას, —გუნდათ
შეკრულან და ვით სალი კლდე
მტკიცედ დარაზმულან.

გაუშლიათ სოცშეჯიბრი
ქალებსა და კაცებს
და ეს შრომის სიხარული
ახალ გმირებს ბადებს.

ვის გაასწრეს, ვინ ჩამორჩა
ვაი მისი დარდი—
ზარმაცია, იმას ჩვენში
ვერ დაურჩენთ ადგილს.

შემოხედეთ მშრომელთ რიგებს,
მათი სახის ღიმილს,
ურყევია, ვით სალი კლდე
ჩვენი კოლექტივი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

პ. ლორია

მანდარინები

დატვირთული ურმის ბორბალი ქვაზე შედგა. ურემი გადმოეფერდა და რამდენიმე მანდარინა ოქროს მძივებივით გაგორდა მიწაზე.

— ჯემალ, ხარებს მიხედე!—შესძახა მუსამ და დაპნეულ მანდარინების ასაკრეფად გაექანა.

— ასეთ ძვირფას ხილს დააპნევს კაცი?

ერთმანეთის გასწრებას ფიქრობენ,—სთქვა ჯემალმა. ურემს წისადგარი დაუდგა და შეაჩერა.

— იჩქარე, თორემ დაგაღამდება. ამაღამ არ დარჩე, ჩააბარე და წამოდი. გეგმის შესრულებას მგონი ბევრი არ დააკლდეს. წელს ათი ათასით გეგმაზე მეტი უნდა ჩავაბაროთ. მოსაკრეფი უფრო მეტიც იქნება.

— შარშანც მეტი ჩავაბარეთ—უთხრა ჯემალმა.

— ჰო და არც წელს უნდა დაუკლოთ,—მოხუცმა მსუქან ხარებს გადაუსვა ხელი.

მუსამ მოსახვევამდე მიაცილა დატვირთული ურემი. შემდეგ მობრუნდა, ამოარა პატარა სერი და მაღალზე წამომდგარ ოდის წინ ხის მორზე ჩამოჯდა.

გრილი ნიავი დაბორიალობდა მანდარინების ნაშენში.

— მშვენიერი ამინდია. ერთ კვირას რომ გასტანდეს—მანდარინების კრეფასაც მორჩებიან და გეგმებსაც გადააჭარბებენ—გასაგონი ხმით სთქვა მან და გადახედა მანდარინების ხეებს, რომლებიც უხვი ნაყოფის ქვეშ ტოტებდახრილი იდგენ.

ეზოში ბავშვების ხმა მოისმა.

მუსამ მოიხედა.

— ქევსერ!—გასძახა მან და ხელები გაშალა.

ბავშვებიდან ერთი ცქრიალა გოგონა გამოეყო, სირბილით წამოვიდა და მუსას გაშლილ ხელებში შევარდა.

— რა ისწავლე დღეს ჩემო ჩიტუნია?—შეეკითხა მუსა ბავშვს.

— ზამთრის ლექსი—მიუგო გოგონამ და ლექსი ზეპირად სთქვა.

— ახლა მანდარინები უნდა ვკრიფო— სთქვა ლექსის შემდეგ ქევსერმა და ფერდობში სირბილით დაეშვა.

მოხუცმა მხიარული თვალები გააყოლა ბავშვს. შემდეგ სხვებს მიუბრუნდა.

— ნური, ჯაფარ თქვენ არ გინდათ მანდარინები?—გასძახა მან.

ბავშვებმა საწიგნეები ოდის აივანზე დატოვეს და მანდარინებისაკენ გაიქცნენ.

— ნეტავი თქვენ!—სთქვა მოხუცმა—ადამიანურად აღზრდა მხოლოდ თუთხმეტი წელიწადია გვეღირსა.

მუსას თავისი ბავშვობა მოაგონდა. ათ წლამდე ქვედა ტანის დასაფარავიც არ ეცვა. ერთი ხამის პერანგის ამარა იზრდებოდა. არც შვილები გამოუზრდია უკეთეს პირობებში.

მუსამ ახედა კრამიტით გადახურულ ოდას, რომლის აივანზე რამდენიმე ძირი ლიმონის ხე იდგა ნაყოფით დატვირთული.

ეს სახლიც ამ 10 წლის წინად აშენდა. ეს ნალიაც. ეს ბეღელიც. ეს დოვლათიც მერმე შეძენილია. ეს ცხოვრებაც ახალი შექმნილია—რიგრიგობით გადაავლო მოხუცმა თვალები მის კარმიდამოს.

— ეს მანდარინების ბაღიც—ჩაილაპარაკა და ფერდობში გადაიხედა, მაგრამ მალე თვალი აარიდა და განზე გაიხედა.

— ვინ იცის იქნებ ცოცხალი მყოლოდა...

დაიტვირთა და დაიბურა ფიქრებით. ნწარე და ნაღვლიანი ფიქრებით. კარგა ხანია მუსას თვალწინ არ დამდგარა წარსულის მწარე დღეები ასეთი სიმძიმით.

მას შემდეგ, რაც თავისი პირველი შვილის სახელი ქევსერი შვილიშვილს დაარქვა—გულთბილობასა და სიტკბოებას გრძნობდა.

— მაინც ცოცხლობს ჩემი ქევსერი—ამბობდა გულში და ოცდახუთი წლის წინ დაკარგულ შვილის სიყვარულს შვილიშვილში პოულობდა.

* * *

ღარიბი იყო მუსას ოჯახი, მაგრამ ტკბილი ცხოვრება ჰქონდათ, ისეთი ცხოვრება, როგორიც მხოლოდ მშრომელთა ოჯახებშია ხოლმე.

ორი შვილი ყავდა ამ დროს: ქევსერი და ჯემალი. ქევსერი

პირველი შვილი იყო. ათი წლის. ცქრიალა და მაყვალა თვალებიანი. ჯემალი ორი წლით უმცროსია. ორთავე საყვარელი და სიცოცხლით სავსენი.

ბავშვებს ჩაცმა-დახურვა, მოვლა-პატრონობა, ალერსი და სიყვარული უნდა. სად იყო ეს, ვის ჰქონდა ტანფეხი, ვის ეცალა მოვლა-პატრონობისათვის და აბა მარტო სიყვარული როგორ გაზრდიდა ბავშვებს!

ციებამ დაიმორჩილა ქევსერი. გაახმო, დააჭკნო, გააყვითლა და ლოგინში ჩააწვინა. ზამთრის მზესავით იშვიათად გამოჩნდებოდა გარეთ. იჯდა ნახევრად მიმქრალ კერასთან. თუ საჭმელი მოუნდებოდა, ცივ მჭადს მიაფიცხებდა და შემომწვარ ქერქს შემოაცლიდა. ის იყო მისი საზრდო.

ჯემალი ცელქი და მოუსვენარი იყო. დადიოდა ტყეში, ბაღებში, მოჰქონდა ქევსერისათვის შინაური თუ გარეული ხილი, ქევსერს უყვარდა ძმა და ჯემალიც სიყვარულით უცქერდა მას. ყველაფერი მისთვის უნდოდა, ყველაფერს მას უზიდავდა.

ერთხელ ღენერლის მამულშიაც გადაპარულიყო. ეს მამული მახლობლად იყო გაშენებული.

ყველგან მოცლილი იყო ამ დრის ხილი და ჯემალის გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა მწიფე მანდარინით დატვირთული ხეები დაინახა. არ იცნობდა ის ამ ხილს. რამდენიმე ცალი წამოიღო და ჩუმად მიუტანა ქევსერს.

ციებით დაავადებული ბავშვის პირს ესიამოვნა უცხო ხილის ხალისიანი წვენი.

— ბაბაის არ უთხრა და კიდევ მოგიტან—გააფრთხილა ჯემალმა და.

ამის შემდეგ შეეჩვია ჯემალი მანდარინის ხეებს და კიდევ ბევრს წამოიღებდა, რომ მამას არ შეენიშნა და არა აეკრძალა.

* * *

ნოემბრის წვიმიანი დღეები იდგა. დასავლეთის ქარი უბერავდა. ზღვას ღრიალი შორს გაისმოდა. ხეები გაძარცული იდგნენ. მინდორველი გაცარიელებული.

ქოხებიდან ზანტად ამოდიოდა ბოლი. ბავშვები იტრუსებოდენ კერიასთან.

მუსას ოჯახში საშინელი სურათი იყო. მომაკვდავი ქევსერი

ლოგინზე იწვა. ფეხებთან აჩრდილივით ეჯდა დედა. კარებთან გაჩერებული მუსა მწარე ფიქრებით იყო დატვირთული.

სახლში წვიმა ჩამოდიოდა. სახლი დაუხურავი დაურჩა მუსას, მაგრამ მისი სადარდო ახლა უფრო სხვა იყო.

ისედაც ბნელი დღე უფრო ჩამობნელდა, აკივდა და დაინესტა.

— ის ბიჭი სად დაიკარგა?—იკითხა მუსამ.

—ხასანისას იქნება—უპასუხა ემინემ და მომაკვდავ ქევსერს დახედა.

— მუსა, სახლში ხარ?—დაიძახა ვიღაცამ გარედან.

მუსამ გამოიხედა.

— ღენერლისას უნდა წამოხვიდე—უთხრა მას ღენერლის მანულების მცველმა მურადმა.

— რაი საქმე მაქვს?—გაიკვირა მუსამ.

— იქ გაიგებ—უპასუხა მურადმა.

მუსამ დაფხრეწილი ყაბალახი შემოიხვია თავზე და მურადს გაჰყვა.

ღენერლის სახლის წინ ხეზე თოკით მიკრული ჯემალი დაუხვდა. წვიმისაგან დასველებული ბავშვი კანკალს აეტანა.

— შენია ეს ლეკვი?—მისვლისთანავე მიახალა სიტყვა სახლიდან გამოსულმა ურიადნიკმა და ჯემალზე მიუთითა.

— ჩემია—ძლივს გასაგონი ხმით სთქვა მუსამ და ფერი ეცვალა.

— კარგი ძაღლი გამოვა მაგისგან—სთქვა ურიადნიკმა და მოქნეული მათრახი გადაუჭირა მუსას.

მუსა სიმწარისაგან დაიგრიხა. ჯემალმაც იგრძნო მამის ტკივილები.

— გემრიელი ხილია მანდარინები?!—დაცინვით შეეკითხა ურიადნიკი მამაშვილს.

მუსამ ახლა გაიგონა პირველად ამ ხილის სახელი.

— წაიყვანე!—გასცა განკარგულება ურიადნიკმა.

მურადმა მამაშვილი წაიყვანა და შუაღამემდე სასუქით სავსე გოდრები აზიდვინა ახალ გაშენებულ ხეებში...

— რაი გინდოდა მაგ ძაღლებისას! შეჰყვირა შვილს მუსამ, როცა სახლისაკენ წამოვიდენ.

— ქევსერი სხვას არაფერს არ სჭამს, მისთვის მინდოდა...—ტირილით უპასუხა ბავშვმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუსა ჯემალის გალახვას ფიქრობდა, მაგრამ ახლა ისე დაეწვა გული, რომ ცრემლები მოერია...

ემინეს კივილი და მეზობლების ტირილი ჭიშკართან მიეგება მამაშვილს — უბედურება იგრძნეს.

ყველაფერი გათავდა.

წვიმდა გარეთ, წვიმდა სახლში, წვიმდა მუსას გულში, წვიმდა მუსას თვალებიდან.

* * *

— ბაბუა, რატომ სტირი? და პატარა ქევსერი მოეხვია ბაბუას, რომელიც ცრემლებს მის შეუმჩნევლად ღვრიდა.

მუსამ შეხედა შვილიშვილს, რომელიც მანდარინებით სავსე კალათით გაჩერებულიყო მის წინ.

— არ ვტირი. მუსამ თვალები ამოიწმინდა და შვილიშვილს მოეხვია.

— ჩვენ ბედნიერი თაობა ვართ, ბაბუა, — უთხრა ქევსერმა და მოკრეფილი მანდარინები ბაბუას კალათაში ჩაუყარა.

— ბედნიერი ხართ შვილებო, ბედნიერები, მაგრამ ჩვენს გულში წარსულის მიერ დატოვებული მწუხარება და ტანჯვა იმდენათად დიდია, რომ ზოგჯერ ამ ბედნიერ დროშიაც ვამოჩნდება ჩვენს თვალებზე ცრემლებად — უთხრა მოხუცმა შვილიშვილს, ორივე ხელები მოხვია და გულში ჩაიკრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა. თარიშვილი

შუჰედის ნოველები

I.

შეაგვიანდა მთვარეს ამოსვლა!

ნაშუალამევს ჯერ გოდერძის უღელტეხილს შეაფრქვია სხივები და შემდეგ ჭავლები ჩაჰყარა აჭარისწყალში და ამ მთვარიან ღამით ეს მთები, ნაძვნარითა და საუკუნოვან ხეებით დაბურული აჭარის მთები, ეს კამკამა და ვარსკვლავებით მოჭედილი ცა, ეს ასხლეტილი სალი კლდეები საოცრადაა გამოსახული აჭარისწყალში!

ლივლივა, სუფთა, ანკარაა აჭარისწყალი...

ახლა დაწრეტილია ეს მდინარე, მაგრამ ტალღებს მაინც შხუილითა და ზათქით ალეწავს ლოდებზე, —დაწრეტილია და მაინც არაა უხმაურო ამ კლდოვან მთების ძირებში ელვასავით შეჭრილი აჭარისწყალი!

ალაგალაგ მუხლამდის და ალაგალაგ უფრო პატარაა მდინარე და ბავშვები უფაცეროდ იჭერენ კალმახებს და კალმახის ზურგს უფრო გავს აჭარისწყალზე გადმოხურული ზეცა.

შეაგვიანდა მთვარეს ამოსვლა!

ნაშუალამევს შეაშუქა გოდერძის უღელტეხილს და ჭავლები ჩაჰყარა აჭარისწყალში და მთაში კი არა, მთების გულზე გაშენებულ ოდა სახლებში ჭავლებად ენთო ილიჩის ლამპა...

ყუჩი ღამეა შუჰედ, ჰავაც სუფთა და მაგარი, ემარჯვება ძვარბილში გაჯდომა და ამიტომაც ჯანსუსტი არ იცის მთის ეზოკარმა... აი, შენ, სამოცდათოთხმეტი წლისა ხარ და ჯერხანად არ იწოდები ჯანგატეხილად!

შენ ტოლს უფლება აქვს იმღეროს:

„ძოვხუცდი და გადავხუცდი
ამ დროებას რაღას ვუცდი“.

მაგრამ ამ მთაში ნაძვსაც აბერებს ადამიანი, მგელსაც უსწრებს სიმარდეში და ქედს არ უხრის ზამთრის სიმკაცრეს... და შენ სა-



აზიზ აკამბა—ჩვენი ძვეყანა.

მოცდათოთხმეტი გაზაფხული, ზაფხული და შემოდგომა გარჯაში გაატარე და სამოცდათოთხმეტი თეთრი ზამთარი გამოიზამთრე...

რამდენი წყვილი ქალამანი გაგიცვეთია შუჰედ, რამდენჯერ შიშველ ხელებით გადაგიშავებია ეს ფირდზე დაკიდებული საყანე მიწა და კარმიდამო და რამდენი ურემი შეშა მოგიტანია მხრებით, რომ ღველფში ჩაბუდრულ ნაკვერჩხალს დილამდის ეკიაფა!

ყუჩ ღამეა და შენ, ნაცვლად ზღაპრისა, ჩვენი ცხოვრების ნამდვილ ამბავს მიყვები და ახლანდელი ჩვენი ცხოვრება მზეზე უფრო ნათელია, კამკამა და ლამაზი.

* * *

ჭვანაში შევხვდით ჩვენ ერთმანეთს. სოფელ ვანში ცხოვრობს **შუჰედ**. მან თოთხმეტი კილომეტრი უფორხილოდ გამოიარა, გზადაგზა ნიგოზი დაერჩია და სახლიდან ჩხავერის ყურძენი წამოიღო. გავეცანით, გავესაუბრეთ, გაგვიმასპინძლდა ნიგვზითა და ყურძნით და ეს ჭალარა ჯადოქრულად და უცნაურად ტეხდა კბილებით ნიგოზს...

—ჩქარა მოდიოდით გზაში უთუოდ?

—მოჩქარეს მოუგვიანდესო!

ნელნელა, ტაატით და გზაც შეუმჩნევლად მოილია...

სოფელი ვანი ხელისგულზე აქვს დახატული შუჰედს.

სოფელი ვანი: ორმოცდათოთხმეტი მოსახლეა სულ და მათგან ორმოცდაოთხი სტალინის სახელობის კოლექტივშია გაერთიანებული. ცხრაას ოცდათერთმეტში ჩაეკირა საფუძველი კოლმეურნეობას და ჩაკირვიდან მოყოლებული თანდათან მაღლდება და განიერდება ამ საერთო ბელელის კედლები...

მოჭყავთ კარტოფილი, სთესენ სიმინდს, აქვთ თაბაქო, ვენახი და მისდევენ მესაქონლეობას. სკოლისათვის აგებულია ახალი შენობა. უმრავლესობამ იცის წერა-კითხვა და გამოწერილი აქვთ ჟურნალ-გაზეთები.

ასეთია სოფელ ვანის ახლანდელი პასპორტი.

არაა გასაოცი და საკვირველი!

* * *

სოფელი ვანი: შემოდგომაზე მოწეული ჭირნახული გაზაფხულის პირამდის შემოელევათ...

ორმოცდათოთხმეტი სახლი მტრის თვალებივითაა ერთმანეთს ჩასაფრებული, სახლები სახურავჩანგრეულია და ოჯახებში ჭუჭყი,

სიდუხჭირე და სიღატაკეა, სოფელში სულ არის ჩვიდმეტი ძროხა და ცხრა ხარი; მეტწილად ხელებით თოხნიან მიწას. წერა-კითხვა იცის სამმა და არავის აქვს გამოწერილი ჟურნალ-გაზეთი. არაა შენობა სკოლისათვის და სკოლაში არ დადიან ბავშვები...

ასეთია სოფელ ვანის უწინდელი პასპორტი...

* * *

ახლა თვითეულ მოსახლეს ჰყავს ოთხი და ხუთი მეწველი ძროხა. სიმინდიც აქვთ და ხორბალიც, ყველი და კარაქიც, რძე და ერბოც... სულ დარჩეული ყავრითაა გადახურული მათი ოდები და სახლებში სისუფთავეა და სინათლე.

ეს ტყე და ეს მიწა, ეს მდინარე და ეს მთები მათი მორჩილი იყო და მისი ნაყოფი მათთვის უხილავი.

„მოდი, მოუდე კუდსაო
ბატონი მოგცემს ქუდსაო,
მოგცემს და ისევ წაგართმევს,
ნუ დაგაკლდება გულსაო...“

„უქუდო“ კაცი—სირცხვილია, მაგრამ ხალხს უთქვამს—„მოვიდა სიმშილი—წავიდა სირცხვილი“ და ერთავად შორს მიდიოდა ეს ოხერი სირცხვილი, მიდიოდა შორს და დასასრულს არ ეჩენდა, რადგან სოფელში სიღატაკე და სიმშილი იყო უსასრულო და მოუთავებელი და რამდენ მგზავრს მიმოუვლია ამ მთებზე, აჭარისწყლის პირთან, თვალი შეუვლია ამ სიდუხჭირისათვის, მაგრამ ოქტომბრამდე ვერავინ დაარწია და არც შეეძლო დაერწია მათი ცხოვრების აკვანი, ვერ შეანგრია და შელეწა უნიათო ცხოვრების თაღი.

შუჰედისა და მისი ტოლების მხარმკლავითაა ანაგები ხიმშიაშვილის სახლი ხულოში და ახლა შუჰედი და მისი ტოლები თავად იშენებენ უფრო შნოიან და მაღალჭერიან სახლებს.

პერანგის სახელო გამოიჩინა შუჰედმა.

თეთრი იყო, სუფთა.

—წინანდელ დროში კანაფითა და ბამბით მოქსოვილი შარვალ-ხალათი და საცვლები გვეცვა და იცი რა ძნელია ბამბის გარეცხვა და გაშრობა?—და არც ირეცხებოდა ეს კანაფითა და ბამბით ნაქსოვი ტანთსაცმელი და ჩვენც გვეცვა ჭუჭყიანი გაზანგული და აშმორებული შარვალ-ხალათი.

ახლა ხუთი მეწველი ძროხა ჰყავს შუჰედს, ხელმოკლედ როდია; ჩვენი ცხოვრების სიხალისემ და სიახალგაზრდავემ შეიყვანა ეს მოხუცი ბოლშევიკების პარტიის რიგებში.

პარტიის წევრია სამოცდათოთხმეტი წლის შუჰედ და იგი გა-
ნა ოდესმე გაკიცხულა უქნაროობისათვის? შუჰედი თუ სუსხიანი წარ-
სულის მომსწრეა, იგი ამ განახლებულ ცხოვრების, სწორედ მთვა-
რიან ღამეზე უფრო ნათელ, უფრო კამკამა და უფრო ლამაზ ცხოვ-
რების მჭედელი და კალატოზია. შუჰედის ცოლი **ფადიმე** პირველი
გავიდა სამუშაოდ კოლმეურნეობის მინდორში და ეს ხუთი მეწვე-
ლი ძროხა ფადიმემ დაზარდა და ფადიმეს ხელები აკრიალებს ასე
სუფთად საცხოვრებელ სახლსა და ეზოკარს...

ხანშესულია ფადიმე.

მისი სიტყვა —

ეს — საგანგებოდ მოვლილი კარმიდამო და წელგამართული
ცხოვრებაა!

ფადიმეს სიტყვა —

ეს — კოლმეურნეობაში ბეჯითად მომუშავე აჭარელი ქალია!

ფადიმეს სიტყვა —

ეს — თითონ კოლმეურნეობაა, განახლებული ვანი, სკოლის შე-
ნობა აჭარელ ბავშვებისათვის და ილიჩის ლამპა ოდებში.

ფადიმეს სიტყვა —

ეს — სამოცდათოთხმეტი წლის შუჰედი და ხანშესული ფადი-
მეა — ჭაბუკებივით შეუტოლდენ ახალ ცხოვრებას; სიტყვა „ფუხარა“
უნდა დარჩეს ლექსიკონში მხოლოდ წარსულისათვის, წარსულის და-
საცინად!

II

საოცრად შელეწენ და შეანგრიენ აჭარის მთების გულმკერდი,
გათხარენ და გაიყვანენ გვირაბები და მალე აჭარისწყალს მოიმწყვ-
დევენ და შეაგუბებენ ამ უზარმაზარ გვირაბებსა და აუზებში და
აჭარისწყალი აენთება ელნათურებად.

ელსადგური კლდეში, სწორედ კლდის შუაგულშია ამოყვანილი
და აჭარისწყალზე მედიდურად გადმომდგარი მთები გულგახრულია
გვირაბებით, აჭარელი მუშები იქნევენ წაკატს და ურის, ლაღუმე-
ბით ხლეჩენ და ამსხვრევენ ლოდებს და თოკებით ეკიდებიან ცია-
ბოზე შეუშინრად.

აქ მარტო ელსადგური როდი შენდება! ყოველი გვირაბი და
არხი ლახვარია უკეთმართი წარსულისათვის და აქ, გვირაბის კედ-
ლების თანატოლად ამოჰყავთ განახლებულ ცხოვრების კედელი.

მურსელ დუმბაძე სამი წელია მოუცდენლად მუშაობს ელსადგურის მშენებლობაზე და ამ სამ წელში სამგზის ამაღლდა, სამგზის შელამაზდა მისი სახლკარი, მისი ოჯახი და თავად მურსელ დუმბაძე.

თავდაპირველად ოსტატების ხელსაწყო დაჰქონდა მურსელს, მაგრამ ახალგაზრდა აჭარელი ვაჟკაცი გადაწყვეტით მიენდო ამ გვირაბების, არხებისა და აუზების ოსტატებს და მისი ოცნება—გამხდარიყო მათი თანატოლი და შესადარი—ახლა უკვე არაა ოცნება და ნატვრა, პირიქით—ახლა მრავალს უნდა იყოს მურსელ დუმბაძე.

აღმრიცხველია მურსელ და წერა-კითხვა და ანგარიში მან აქ, ელსადგურის მშენებლობაზე შეისწავლა და ეს წერა-კითხვა და ანგარიშია მიზეზი, რომ იგი ოთხას მანეთამდე ღებულობს თვეში.

დიდია მურსელ დუმბაძის ოჯახი.

მისი ძმები მურთაზ და მუხამედ კოლმეურნეობაში მუშაობენ, ასევე დედა—გუნები, ცოლი და ძმების ცოლები და უმცროსი ძმები--

დურსუნ და მევლუდ,

ზექიე და რეჯებ,

ენვერა და ფატყუმე,

ზინა და აიშე.

დიდია და მდიდარი მურსელ დუმბაძის ოჯახი.

ყოველ შემოდგომაზე ორმოცდაათი გოდორი ყურძენი იწურება მის საწნახელში. და მათი ბოსტანი სახელგანთქმულია მთელს სოფელში.

გარჯილობა უყვართ და უხვია გარჯისა და შრომის ნაყოფი.

ეს—ელსადგურმა შეიტანა ასეთი დოვლათი მათ ოჯახში.

ელსადგურმა ასწავლა წერა-კითხვა და ანგარიში მურსელ დუმბაძეს და ეს ფარჩის კაბები—მურსელის დედას, დებს და ცოლს ასიეს რომ აცვია—ელსადგურმა მოქსოვა, დაჭრა და შეკერა!

თვეში ორხელ ფართლეულით, შაქრით, ბრინჯითა და ფქვილით დაჭვირთული მოდიან შინ აჭარელი ვაჟკაცები; ამის მიზეზიც ელსადგურია და ეს ელსადგური რა ღრმად იჭრება ამ მთების გულში და ეს ელსადგური უფრო ღრმად და თვალმიუწვდენელად იჭრება აჭარელთა სახლებში, აჭარელთა ყოფასა და გონებაში.

დიდია ეს ელსადგური!

ამ ელსადგურმა მურსელ დუმბაძის ოჯახის მსგავსად მრავალი ოჯახი დააყენა ფეხზე და წელში გამართა, მრავალ სახლს დაუგო იატაკი და ფანჯრები ჩაუსვა, მრავალ სახლს გადაუხურა სახურავი,

მრავალ ეზოს დაჰკიდა ჭიშკარი, მრავალი საცალფეხო ბილიკი გზატკეცილად აქცია, მრავალს ჩააცვა, დაახურა, გამოაწყო და მრავალი წინად უკაცური ადგილი აახმიანა.

დიდია ეს ელსადგური!

და ჭალების ანთებამდე აციმციმდა და აენთო • იგი; ეს სინათლე ყველგან ანთია—ვანში, შუჰედის ოჯახსა და სტალინის სახელობის კოლმეურნეთა სახლებში, წყარუთაში—აიშე და ნურიფე ნაკაშიძეების—ამ მოწინავე, კოლმეურნე ქალთა კარმიდამოში, ჭვანაში, დღვანში, უჩამბასა და წყლისაყარში.

„მზე დიდია—მცირე ნისლი
დაფარავს და გაგვიბნელებს.“

მაგრამ ამ სინათლეს ვერავითარი ნისლი ვერ დაფარავს, ვერც ჭექა-ქუხილი და ქარიშხალი დასწყვეტს მის მავთულებს, რადგან ის ბოძებსა და მავთულებში კი არაა მონუსხული და შეთოკილი, არამედ ელსადგურის მშენებელ აჭარელთა ტვინშია ჩამსხდარი და ჩაჭედილი.

რამხელაა ეს ელსადგური, შუჰედ!

* * *

მთა წინაველაზეა გაშენებული უჩამბა.

უწინდელ დროშიც რვა სოფელი იყო აქ—მოფრინეთი და სამოლეთი, ცინარეთი და წაბლანა, ლაკლაკეთი და გოგაძეები, ჯაბნიძეები და ტბეთი; ამ რვა სოფელში მხოლოდ სამი ოდა იყო და თითქოც ამის გამო შეარქვეს ამ ადგილს „უჩამბა“.

სამი ოდა იყო რვა სოფელში და ოთხასსამოცდახუთი კომლი—ღარიბი და ღატაკი.

სამი ოდა იდგა რვა სოფელში ჭიშკრიანი, მაღალ და დათლილ მესრებით შემოკავებული და ოთხასსამოცდახუთი სახლი ისლითა და წნელით, ან ჩალით და მიწით გადახურული, უეზოვო და უჭიშკრო.

ახლა სამი ოდის ნაცვლად, რვა კოლმეურნეობაა და ღამითაც თავს აჩენენ წაბლის ფიცრებით ნაშენი ოდები. ახლაა ანაგები ეს სახლები და რვა სოფელში ახალია ასოცდარვა სახლი და ეს ასოცდარვა ოდა კოლმეურნეებისაა; ეს ასოცდარვა სახლი შარშან, ან შარშანწინ ააგენ და წელს უფრო მეტ დოვლათს მიიღებენ კოლმეურნეები და საგაისოდ უჩამბაში არ იქნება არც ერთი ძველი სახლი.

ჭველაზე უფრო მოწყობილი შენობა მეჩეთი იყო უჩამბაში, მაგრამ უკვე უკან ჩამოიტოვეს მეჩეთი კოლმეურნეთა სახლებმა და და მალე სკოლა და კლუბი მთლიანად დაჩრდილავს მეჩეთს...

მეცადინეობის დაწყების დღესვე მრავლად გამოცხადდენ მოწაფეები სკოლაში, აქ აჭარელი მასწავლებლები ამეცადინებენ ბავშვებს.

მემედ გორგილაძე, სულეიმან ხვიჩია და ხუსეინ ბერიძე,—ისინი ბათომსა და ტფილისში სწავლობდენ და ახლა მშობლიურ კერას დაუბრუნდენ და სამოცდაათი აჭარელი ბავშვი მათი მეოხებით ეწაფება სწავლას, ისინი ასწავლიან წერა-კითხვას უკვე ხანშესულ აჭარელ მამაკაცებს და ქალებს...

ასხუთი წლისაა ოსმან ხაილოღლი და ასხუთი წლისაა ფედუს თურმანიძე და ისინიც პირველად მოესწრენ აჭარელ ქალთა შეკრებას.

ოსმან ხაილოღლის და ფედუს თურმანიძეს ჯერ არ ენახათ ქალების თავშოყრა და საუბარი მამაკაცებთან ერთად და გაოცდა ეს ორი გადაბერებული მოხუცი, კა არ ეწყინათ, უკვირდათ მხოლოდ და კითხვის ნიშნად იყვნენ გადაქცეული...

ფატყუმე ლორთქიფანიძე ლაპარაკობდა.

ოსმან ხაილოღლი და ფედუს თურმანიძეც უსმენდენ ქალების სჯა-ბაასს და მათ სამართლიანად უკვირდათ...

* * *

მთა წინაველაზეა გაშენებული უჩამბა...

ძველი თქმულებაა—მთაზე ასვლისას მოლა ასულა წინ და მთისათვის „წინაველი“ დაურქმევია.

შერჩა ეს სახელი და ახლაც წინაველა ჰქვია ამ მთას, მაგრამ მოლა კი არა, ახლა თქვენ ხართ წინ წასული სამოლეთის, მოფრინეთის, წაბლანას და ტბეთის კოლმეურნეებო!

III

„ურმულსაც“ ახალ კილოზე მღერიან სოფელში ამჟამად. ეს „ურმული“ არაა ნაღველითა და სევდით სავსე. ეს ახალი სიმღერა თითონ ხალხმა შეთხზა და დასწერა. ეს სიმღერა დანისპარაულში ან წაბლანაში, წინაველაზე ან საყოლაფერდში დაიბადა და უთუოდ ცისკრიან განთიადისას, როცა მინდვრად გასული კოლმეურნენი გულ-

ლონეს სინჯავენ და მუშაობენ არა ურჩად და ნაძალადევად, არამედ თავისნებით, ხალისიანად.

გულგატეხილია ღორჯომელი ხოჯა სკენდერ თავართქილაძე. შემოდგომაზე რომ ფურცლები დასცვივა ხეს, ისე დასცვივდა ასი წელი თავართქილაძეს და შემოაკლდა „მრეველი“.

გულგატეხილია ღორჯომელი ხოჯა!

რადგან მეჩეთისათვის ვერ მოიცალა ხალხმა, არც მინარეთიდან დარხეული ხმა აღელვებს ხალხს უწინდულივით და სალოცავად მოკეცილ მუხლებს დღე-დღეზე აკლდება ორორი და ოთხოთხი.

გულგატეხილია ღორჯომელი ხოჯა,

რადგან მეჩეთზე უფრო მეტი მიღწევა აქვს ღორჯომში კოლმეურნეობა „მიღწევა“-ს; ამ სამ წელში ოცდარვა მუშა-ხელი შეემატა კოლმეურნეობას, ხოლო სამჯერ ოცდარვა მლოცველი და მორწმუნე მოაკლდა მეჩეთს, შეიცხრილა, შემცირდა ფარდაგზე მოკეცილი მუხლები და მეჩეთში ბლომადაა ცარიელი ფარდაგები.

მხრები აიყარა, დავაჟკაცდა კოლმეურნეობა და თითონ სკენდერ თავართქილაძესაც გაუცრუვდა იმედი—ეს სკები რომ ასე ერთავად გამრავლდენ, გაიზარდა ფართობი სიმინდის, კარტოფილისა და სამყურასათვის და კოლმეურნეთა ძროხებისათვის შვიდ ჰექტარზე სათივე გამართეს.

ანდაზაა—„მჭედელს დანა ენატრებოდა და ფეიქარს ხელსახოციო“. მეხტიალი ართმელაძის ეზოში იყო ჩხავერი ხეებზე გაბარდული და სახლისწინ ფანჩატური, მათ საწნახელში იწურებოდა ყურძენი და ადუღებული მაჭარი სხვის მარანში დგებოდა ჩქეფად.

ყურძენი და ღვინო ენატრებოდა ართმელაძეს.

მის ეზოში იდგა ნიგვზის ხეები და გარჩეული ნიგოზი სხვის ბელელში ჩხრიალებდა.

ნიგოზი ენატრებოდა ართმელაძეს.

ართმელაძის ძროხა ბრუნდებოდა საძოვრებიდან ჯიქანსავსე და ცურებადატენილი; რძე და ყველი ენატრებოდა ართმელაძეს.

ასე იყო წინად.

დარეკეთ და დაკრიფეთ ართამელაძის ნიგოზი და შეყარეთ ბელელში!

დაკრიფეთ ადესა და ჩხავერი, დასწურეთ საკუთარ საწნახელში და საკუთარ ჭურებში ჩააყენეთ ჩქეფად!

მოწველეთ ნაიალაღარი ძროხები და ზამთრისათვის შემოინახეთ ყველი, კარაქი და ერბო!

ეს დოვლათი, ეს ხვავი და ბარაქა თქვენია!

ასეა ახლა.

კუნაპეტი ღამე იყო და საცალფეხო ბილიკიც კლდესა და ღრანტეშია დაკლაკნილი და ჩვენი ცხენებიც საათში სამი კილომეტრის სისწრაფით თუ მიდიან.

მაინც უშიშრად მივდივართ და ხმაშეუწყობლად მივიმღერით; ასეთ ღამეში ამ კლდესა და ღრანტეში წინათ უსუნთქველადაც ვერავინ გაბედავდა გავლას.

ჩვენ კი მივდივართ და თამამად მივიმღერით; ამ გზის გარშემო კოლმეურნეები მოსახლეობენ, ისინი ხშირად გვინათებენ გზას და სახლში გვეპატიჟებიან.

თორმეტ საათისათვის მიუახლოვდით აგარის სასოფლო საბჭოს, შორიდანვე ისმოდა ხრიალი და არ დავიჯერებდი თვითონ რომ არ მენახა:

ორმოცდაათამდე აჭარელი კოლმეურნე ამ ღამით რადიოს უსმენდა.

ლაპარაკობდა მოსკოვი.

აგარელ კოლმეურნეებს ელაპარაკებოდა მოსკოვი და მერე რა გარკვეულად და მკაფიოდ ისმოდა ხმა—„ძლიერია ჩვენი სამშობლო და ძლიერზე ძლიერი მისი დამცველი ფრლადის არმია“.

ჩვენი სოციალისტური სამშობლო, ჩვენი კარმიდამო დაცულია მტრისაგან, იყავით უშიშრად, ჯანიანად! ეს სუფთა ჰავა, მიწა და თქვენი გულღონე ქმნიან სიმდიდრეს და თქვენ არასოდეს შემოგაკლდებათ არც რძე და ყველი, სიმინდი და ხორბალი, არც ნწიფე და კანდაუმსკდარი ვაშლები; ახლა ცხოვრება საბჭოთა მთაში ფანჩატურია.

ისეთი ფანჩატური, რომელიც ხარობს ზამთარ და ზაფხულ და საამოდ შრიალებს სულ მთელი წელი დარსა და ავდარში.

3. ეფემელიდები — ოთახის ინტერიერი

ელიზბარ პოლუმოკრდვინოვი

პირველი დილა

(რომანიდან „იღვიძებენ მთები“.)

ადრიანი გაზაფხულის დილა ნელი-ნელ ნათდებოდა.

ოდნავ შრიალებდენ ფიჭვისა და მაგნოლიის ხეები.

ქობულეთის ზღვის სანაპირო ცისავე ფერით ასცქეროდა ცას.

მესხეთის ქუჩაზე უკვე ერთმა ეტლმა მშრალ ჰაერში მტვერი აშალა. შემდეგ კი ურმები ამოძრავდენ ჭრიჭინა ბორბლებით.

ზღვის ტალღების ცემა გარკვევით ისმოდა.

ეს ზღვა აღვიძებდა დილას.

რაიკომის შენობასთან ორი შეკაზმული ცხენი იდგა. ცხენები ერთმანეთს კისრებით მიჰკროდენ და დრო-და-დრო ცალ მხარეზე გადმოშლილ ფაფარს ერთმანეთს აფენდენ.

რაიკომიდან გამოვიდენ ორნი.

ერთი იყო ტანმსხვილი, წაბლისფერ-თმიანი და გაურკვეველი ფერის თვალებით. უბრალო ნაცრისფერ კოსტიუმში ჩაცმული. შარვლის ტოტები წინდებში ჰქონდა ჩატანებული.

მას ერქვა აბდულ. გვარად ხალვაში.

მეორე—მკვრივი, ჩასხმული ყმაწვილი, შავგვრემანი, ნახშირივით შავ თმა-წარბით, ცოცხალი მოძრავი თვალებით და მუდამ საქმიანი გამომეტყველებით. ეს იყო რაიონის აგრონომი ჩეჩელაშვილი, რომელიც წელიწადზე მეტია ქობულეთში მუშაობდა.

აბდულმა ცხენს მოსართავები გაუსინჯა, შემოუჭირა. წამში ცხენს კბილებში ლაგამი ჩაუგდო და ზედ მოახტა.

ცხენები ქობულეთიდან ნაბიჯით გამოვიდენ.

თემშარას დაადგენ.

ეროი მხრიდან გადაჭიმული იყო აჭარის მთები; მეორე მხრიდან ზღვის ჰორიზონტი.

აქვე იწყებოდა დიდი თვალგადუწვდენელი ჭაობიანი ადგილე-

ბი, რომელსაც მოსახლეობა ისპანს უწოდებს და სადაც ხშირად დაღუპულა გლეხკაცის საქონელი.

ცხენებს მათრახი შემოჰკრეს.

ცხენები ოთხით წამოვიდენ.

ცხენებს თვალები უსწრებდენ, თვალებს კი ფიქრები.

აბდულ ხალვაში რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგეა. დღეს სოფელ გვარაში სასოფლო კრებაა მოწვეული. აჭარაში პირველი კოლმეურნეობა დღეს უნდა ჩამოყალიბდეს და ამიტომაც მასზე ფიქრები უსწრებენ ცხენების მუხლმაგარ ნახტომებს.

მისი აზრები უფრო ფართო და გაშლილია, ვიდრე ის სივრცე, რომელიც ჰორიზონტამდე გადაშლილა.

ჩეჩელაშვილიც საკუთარ ფიქრებში ეხვევა.

რამდენი კილომეტრი ირბინა მისმა თვალმა,—სულ ჭაობით დაფარული ადგილებია.

ფიქრობს: ეს რომ ამოშრეს და ზედ ჩაის პლანტაციები გავაშენოთ, რამდენად გაუმჯობესდება ქვეყნის მეურნეობა. ამ სიმინდის ყანების მაგივრად მანდარინის ბაღები რომ დაირგოს, როგორ გაძლიერდება ქვეყნის ეკონომიკა.

ცხენები მიჰქრიან—მიაჭენებენ ფიქრებს...

მიჰქრიან ფიქრები პირველ კოლექტივზე, ფიქრები აგრონომიული რუქის შეცვლაზე.

სადღაც შორს კივის ორთქლმავალი.

ხეხილოვან ხეივნებში, მწვანე ფოთლებს შორის, იშლება კვამლის შავი, ჩამუქებული ბალიშები და ლიანდაგის ფოლადის ხაზს მოაქვს გუგუნი.

მთის ფერდობზე, მთის ძირებში და გაშლილ ვაკე-ადგილებზე მოსჩანს პატარა, უშფოთველი სოფლები. შიგ კი სოფლებში ღელავს თითოეული გული ცალ-ცალკე და ყველა გული ერთად.

დრომ გადასერა მანძილი.

დაოფლიანებული ცხენები სოფელ გვარაში შევიდენ.

მზე მაშინ იდგა ცის შუაგულ.

ჰაერი გამშრალიყო. ბუღი ჩაწოლილიყო ქოხებს შორის. სიცხეს ვერ ანელებდა გაზაფხულის დარი.

სოფსაბჭოს ეზოში გლეხობა გროვდებოდა. ისინი გაცხოველებული კამათითა და ხმაურით მოდიოდენ.

მათ შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა ქიცილა,

რომელიც ყველაზე მეტს ლაპარაკობდა და ამავე დროს არც ერთი ჯგუფი არ იყო, რომ მათ საუბარში არ ჩარეულიყო.

გლეხები კარგად იცნობდენ ქიცილას. ქიცილა უყვარდა კიდეც მთელ სოფელს. ისინი ღიმილით შესცქეროდენ ქიცილას უსაფუძვლო, მაგრამ სერიოზული ტონით ლაპარაკს.

ქიცილას ცოლიც ყავდა და შვილიც. ის ცოლშვილით ამაყობდა კიდეც. უმიწაწყლო გლეხი იყო და თავს ირჩენდა დღიურ სამუშაოზე გასვლით.

ქიცილა მოუთმენლად ელოდა დღევანდელ დღეს და პირველი გამოიქცა კრებაზე.

თოხისა და კავის ხმარება კარგად იცოდა ქიცილამ, არც მუშაობა ეზარებოდა, მაგრამ ეს ერთი ცუდი თვისება ჰქონდა მას. ლაპარაკი უყვარდა ძალიან. ის ლაპარაკობდა ყოველთვის, სადაც არ უნდა ყოფილიყო. გინდ ყანაში, მუშაობის დროს, გინდ ჭამის დროს. ძილის წინ მისი ცოლი მთელს სახეზე საბანს გადაიფარებდა ხოლმე, როგორმე ქმრის მომაბეზრებელ ლაპარაკისაგან თავი დაეხსნა და დაეძინა.

ერთხელ სოფელში ორ მომდურავ მეზობელს ერთმანეთში არიგებდენ და სოფელი ასამართლებდა ერთსაც და მეორესაც. მაშინ ამ სოფლის კრებაზე ქიცილასაც უნდოდა სიტყვა ეთქვა, მაგრამ ისე დაამთავრეს კრება, რომ ქიცილას სიტყვის თქმის არც უფლება მისცეს და არც საშუალება. ამან იმდენად იმოქმედა ქიცილაზე, რომ იმავე ღამეს სიცხე მისცა და ავად გახდა. სამი დღე სიცხეში იწოდა და მგონი სიცხისაგან გამოწვეულ შეუწყვეტელ ბოდვამ მოარჩინა.

ქიცილა დღესაც აპირებდა სოფლის კრებაზე გამოსვლას და მოუთმენლად ელოდა კრების გახსნას.

ჰუსეინ კვესეიშვილს ქაღალდის ფურცელი ეჭირა და გულმოდგინედ დასცქეროდა ზედ.

ამ დროს ჩოჩქოლი შენელდა.

ეზოში ცხენოსნები შემოვიდენ, გადმოხტენ და ჰუსეინისკენ გაემართენ.

—ვნახოთ, ჰუსეინ, რამდენად გამართლდება შენი წინასწარი მეშაობა,—წაელაპარაკა ხალვაში.

—ღარიბი გლეხობა მზადა მყავს, ამხანაგო ხალვაშო. საშუალოები მერყეობენ, მაგრამ მაინც ჩვენთან არიან.

—შეგროვილნი ბევრნი არიან! ძალიან მოწადინებულან.

—აქ კულაკებიც არიან მოსულნი. ბრძოლა მოგვიხდება. შენი არ მაფიქრებს, შეჩვეული ხარ.

მაგიდაზე ბლაგვხმიანი ზარი აჟღარუნდა. უცბად სიწყნარე ჩამოვარდა. ამ სიწყნარეში მთელი თავისი ტანით წამოიმართა წინ ჰუსეინ კვესეიშვილი, და ამ მოულოდნელმა სიწყნარემ ჰუსეინი თითქოს გაზარდა, აღამაღლა, გააძლიერა.

—ამხანაგებო!—თუჯის მძიმე ხმასავით გაისმა მისი სიტყვები, —სასოფლო კრებას გახსნილად ვაცხადებ. ამოვირჩიოთ თავმჯდომარე.

ჩამოვარდნილი სიჩუმე გასჭრა ხმამ.

—ჰუსეინ კვესეიშვილი!..

—მემედალი ხაბაზი...

— აბდულ ხალვაში...

და შემდეგ სხვადასხვა ადგილიდან სამჯერ ზედიზედ გაისმა:

— ახმედ ტაგიძე...

— როგორ, კულაკი?!.—აღელვებული ხმით წამოიძახა სულეიმან ნოღაიდელმა. ის მოულოდნელად წამოვარდა წინ და კრებას გადახედა, თითქოს უნდოდა დაენახა ტაგიძის სახელის დამძახებელი.

ხალვაში დასცქეროდა კრებას და ფიქრობდა:

„კლასიური მტერი შეტევას წინააღმდეგობებით ხვდება. კლასიურ მტერს არ სძინავს“.

— ხალვაში, ხალვაში!..—გაისმა კიდევ, და ხალვაშიც წინ წამოდგა.

გლეხობა იცნობს ხალვაშს.

ვიდრე ხალვაში რაიკომში სამუშაოდ გადავიდოდა, ის სოფლის საბჭოს თავმჯდომარედ მუშაობდა. ხალვაშს ენდობიან გლეხები. ხალვაშმა რამდენიმე წლის წინათ უმიწაწყლოებისათვის მიწები მიაცემინა. არც ახლა უმტყუნებს მათ.

წამოდგა ხალვაში.

— დღევანდელ დღეს ჩვენ ერთად-ერთ მიზანს ვისახავთ: სოფელი უნდა გარდიქმნეს ისე, რომ მშრომელს ჯაფა შეუმსუბუქდეს, რომ მიწამ მეტი მოსავალი მოგვცეს, რომ ყველანი შეერთებული შრომით ჰქმნიდენ საერთო დოვლათს. აი, ამ ფურცელზე მე ვკითხულობ ოცდათოთხმეტი გლეხის გვარს, რომელთაც ხელი მოაწერეს კოლექტივის ჩამოყალიბებაზე. გაერთიანებული შრომა, რამდენადაც

ერთგულად და მოწყობილად იქნებით, იმდენად მალე განგამტკიცებთ, გაგაძლიერებთ მთავრობა დაგეხმარებათ. თქვენი კოლექტივი მაგალითი იქნება მთელი აჭარისათვის. კოლექტივის გაძლიერება საშუალებას მოგვცემს შევებრძოლოთ კულაკობას და თანდათანობით ავლაგმოთ იმ მიწაწყლიდან, რომელიც მას სხვისი შრომით ხელში აქვს მოგდებული.

—ჩვენში კულაკები არ არიან!.. ჯერ მთავრობას არ უთქვამს ეს!—ბრაზით წამოიძახა ერთმა. ის აქეთ-იქით იხედებოდა, გვერდზე მდგომთაგან დასტურს ელოდა.

მაგრამ...

— მაშ შენ ვინა ხარ?!.—ტყვიასავით მიახალა ნოლაიდელმა.— ჩვენ შენს მიწებზე ფეხი ვერ დაგვიდგამს. შენს საბალახოს ჩვენი ძროხა ვერ სძოვს. მემედ ანანიძევ, მაშ შენ კულაკი არა ხარ?.. ამ-ხელა საბალახოები ხელში რომ გაქვს მოგდებული?!. მაშ ვინა ხარ შენ, ახმედ, ცხრა ულელი ხარკამეჩი რომ დაგიდის? აი, ჩვენ, ათი წელიწადია ერთი ძროხის ყიდვას ვნატრობთ, ვერ მოგვიხერხებია...

ჰუსეინი ნოლაიდელს აჩუმებდა.

შემდეგ წამოიწია წინ ზაფითი. მას წვერში ოდნავ თეთრი შეჰპაროდა, სახეზე ძარღვები გამოსჩენოდა.

— მართალია, კაი მარა?!.—დაიწყო მან,—რომ ამბობთ გაერთიანდითო, რითი უნდა გავერთიანდეთ. ვინც თქვენ წაიკითხეთ არავის აფერი არ გააჩნია. მე ქოხში ნაჯახისა და ჯილლის მეტი არა დამრჩენია რა. ერთი ხარი მომიკვდა. ცალიღა დამრჩა. ობოლი ულელი მიგდია შინ. რაცხა ფერათ ისეთი ხალხი უნდა შევიყვანოთ რომე, ან მუშა საქონელი ჰყავდეს ან სხვა რაიმე. აპა ისეთ რავა იქნება?..—სთქვა ეს და უხერხული მოძრაობით უკან დაიხია, თითქოს სიტყვა დაუმთავრებელი დასტოვაო, თუმცა მისი ტუჩები კიდევ მოძრაობდენ. დანარჩენიც, რაც სათქმელი ჰქონდა, გულში დაამთავრა.

ველარ მოითმინა ქიცილამ.

ყველა ლაპარაკობდა. ყველა თავის აზრს გამოსთქვამდა. თითქოს შეშურდა კიდეც ქიცილას სხვების ლაპარაკი და წინ წამოდგა. მისმა გამოჩენამ კრებაში ერთგვარი მხიარულება გამოიწვია.

— ქიცილას დავაცალოთ, ქიცილას!..

— მაგი თუ აგვიხსნის, თვარა!

—მე, ამხანაგებო, ძალიან მომხრე ვარ კოლექტივისა. ვინ თქვა

ერთად ვერ ვიმუშავებთო? მე კახეთში ვყოფილვარ, მეგრელიაშიც ვიყავი... მე კოლექტივი მინახია, სადაც ოცდაათი კი არა, სამასი კაცია ერთად. ისეთ მუშაობენ რო გაგეხარდება. თქვენ გავიწყდებათ, რომ მუშათა კლასს ასეთ უნდა. არ იცით, რო რავარც მუშათა კლასს უნდა, ისეთ გაკეთდება?.. თქვენ გგონიათ, ცუდია კოლექტივი? არაა ცუდი. დამიჯერეთ, რომ არაა ცუდი...—და ქიცილა ჩაუფიქრდა. მას უნდოდა რითიმე დაემტკიცებინა, რომ კოლექტივი არაა ცუდი და პატარა ფიქრის შემდეგ სახე გაუნათდა. ლაპარაკის ტონსაც მოუმატა. ასე განაგრძო:—აი, ავიღოთ სიტყვაზე კართოფილი.. კაცმა თავდაპირველად კართოფილი რო დეინახა, თქვა: აგი მგლის ვაშლიაო და არ ეტანებოდა. მერე, შენ ხარ ჩემი ბატონი, ერთმა რო მოხარშა, წუუსვა მარილი და გემო ნახა, ქე მეეწონა, მერე მეორემ ჭამა, მერე მესამემ და აწი თქვენ რო დაგიდგათ სავსე ქვაბი მოხარშული კართოფილი, ყველა დეესევით და ერწამას გაქრობთ, მარა სადაა კართოფილი? ასე, ამხანაგებო, მერე ქე გენდომებათ კოლექტივიც, მარა ვინ შეგიშობს შით.

—კართოფილი კი არა, ლობიე და სიმინდი გვინდა... —წამოიძახა ვიღაცამ და ქიცილას სიტყვა შეაწყვეტინა. სიტყვის შეწყვეტასთან აზრიც შეუწყდა და დაიბნა კიდეც.

ქიცილა სტოვებდა თავის ადგილს და თანაც ბუტბუტებდა: —ლობიეც გექნებათ და სიმინდიც. კიდო ქე მინდოდა ლაპარაკი, მარა საშველს არ იძლევიან.

და ქიცილა გაჩუმდა. ეხლა უკვე თავის თავს გონებაში ელაპარაკებოდა. „კარგია თუ არა კოლექტივი, და ექნება თუ არა კოლექტივს ლობიო და სიმინდი, თუ მართლა ისე იქნება, როგორც ზოგიერთები ლაპარაკობენ“. ისიც იჭვმა შეიპყრო.

მოულოდნელად ღრმა სიჩუმე ჩამოვარდა.

ყველა სმენად გადაიქცა.

მაღალი, გაბედული და რიხიანი სიტყვები აპობდენ ჰაერს.

—მე პირდაპირ ვიტყვი, რაც საოქმელი მაქვს. ბევრსა ბევრი რამე არ გესმით. როცა რამეს იწყებთ, გგონიათ, რომ ისეთ ადვილად გაკეთდება, რავარც ითქმება. ხალვაშს რა ეწუხება? აქ ხალხს თავს მუუყრის, მიუშვებს სახნავ-სათესზედ და თითონ წავა. ზოგს მარჯვენა არ უვარგა, ზოგს ხასიათი, ვინ იმუშავებს ისეთ, რავარც კარგი მუშაკაცი? ვინ შეიწუხებს სხვებისაცვის თავს? ისეთი უწესობა მოგიხდებათ, რომე ერთმანეთს გადასჭამთ.



ნაზიმ ხალვაში—„ვეფხის ტყაოსნის“ ილუსტრაცია.

ყველა განცვიფრებით უცქერდა. რამდენჯერმე ზარიც აჟღარუნდა, ჰუსეინმა გადასძახა კიდეც, მაგრამ მოლაპარაკე მაინც ვერ შეაჩერა. ლაპარაკობდა ახმედ ტაგიძე. ის ზორბა მკლავს ჰაერში ატრიალებდა. ხან პატარა წვერზე ჩამოისვამდა, ხან დამუშტავდა, ხან თითებს ფართედ შლიდა.

ახმედი სოფელში ძველთაგანვე გავლენიანი პირი იყო. იმდენი საქონელი მთელს სოფელს არ ჰქონდა, რამდენიც მას. მამაპაპისაგან საშვილიშვილოდ გადმოცემულს (როგორც თვითონ უძახდა) საბალახოებს დღესაც მის ნებადაურთველად ვერავინ გამოიყენებდა. ერთ დროს სოფელში მისი სიტყვა კანონი იყო, მისი ნება-სურვილი ყველასათვის სავალდებულო. გლეხობა უსიტყვოდ უსმენდა და ახმედ ტაგიძე, ჯერ კიდევ შეურყეველი სიძლიერის გრძნობით, განაგრძობდა ლაპარაკს.

—აი, ხალვაშს მე პატივსა ვცემ, ის, ვიცი, რომ სოფლისათვის ზრუნავს. თუ მთავრობას თქვენი დახმარება უნდებიან, მოგცეო მიწები. —ტაგიძემ სიტყვა დაამთავრა. მის სიტყვას ბანი მისცეს ადგილებიდან და ყველანი ერთმანეთში ალაპარაკდენ.

შიგა-და-შიგ, ამ ამღვრეული მასის კუნჭულებიდან გარკვეულად ისმოდა: „დავიშალნოთ, წავიდეთ"... კულაკებს სოფლის კრების დაშლა უნდოდათ. ეს შეატყეს ხალვაშმაც, ჰუსეინმაც, ნოღაიდელმაც.

მიხვდა მემედალიც ნათ განზრახვას და სალაპარაკოდ გადმოდგა. მას ქერა ულვაშებზე ღიმილი ჰქონდა გადაკრული. ტკბილი, თბილი და ენერგიული ხმით სთქვა:

—ამხანაგებო, რა გაღელვებთ, რა გაჩხუბებთ? კოლექტივს ვაარსებთ ღარიბი გლეხობისათვის, მათ შესაკავშირებლად, მათ განსამტკიცებლად... თქვენ რა გაღელვებთ, ახმედ, მემედ, ან თქვენ, მამუდ... კოლექტივი გინდათ თუ არ გინდათ, როდის გეკითხებით? თქვენს დასამარცხებლად ვაწყობთ ამ კოლექტივს. უნდა შევანელოთ თქვენი თარეში. გეყოფათ სხვისი ოფლით ცხოვრება. ახლა ღარიბებმაც ნახონ, როგორია შეძლებული ცხოვრება, თქვენ კი გვარწმუნებთ, რომ გაერთიანებულად ვერ ვიმუშავებთო. რასაკვირველია, თქვენთან ვერც შევერთდებით და ვერც ვიმუშავებთ.

ზლაზვნით გამოვიდა წინ ერთი გლეხი. მას სახეზე ეტყობოდა, რომ კრების ღრიანცელი აკვირვებდა. აქამდე ჩუმად იდგა და მხოლოდ სმენად იყო გადაქცეული.

—ამხანაგებო ასთე რო აყვირდით, ამით საქმეს რას უშველით?

მე მოვედი—კოლექტივში შემოგიერთდეთ მეთქი და თქვენ კი ვერ რიგდებით. ხუთი ჰექტარი მიწა მაქვს. ორი უღელი ხარი მყავს. ღარიბი არა ვარ, მაგრამ კოლექტივი ისეთი საქმეა, საშუალოსაც მოუხდება შიგ ყოფნა. ხალვაშზე ბევრი გამიგონია. ჰუსეინსაც ვიცნობ, მემედალისაც ყველა პატივს სცემს. სოფლისათვის ცუდი არაფერი არ დაუწყიათ. ყველაფერი ახალი საშიში კი არ არის, ძნელია. მოვაწყოთ. ვინც უარზეა, ის თავის გზით გაემართოს.

ეს არც ღარიბი იყო, არც შეძლებული. ის ლაპარაკის დროს შესცქეროდა ჰუსეინს, ხალვაშს, სულეიმანს, ოღონდ ტაგიძისა და ანანიძისათვის სახეში ვერ შეეხედა. თითქოს გაურბოდა მათ ქორისებურ ზვერვას.

მაგრამ ამის სიტყვამ ღრიანცელი ვერ დააცხრო.

რამდენიმე ღარიბი, უსიტყვოდ შესცქეროდა მღელვარე გლეხებს, მათ უკვირდათ, მათ სწყინდათ, სისხლი ყელში აწვებოდა კულაკების დანახვაზე.

სდუმდა მემედალი. ის შესცქეროდა ხალვაშს, თითქოს მისგან მოელოდა ამღვრეულ მორევის დაცხრომას.

სულეიმან ნოლაიდელი ჰუსეინთან მივარდა. ის უსიტყვოდ ეკითხებოდა: „როგორ მოვიქცეთ?“ მაგრამ ჰუსეინს პასუხის მიცემა არ შეეძლო. მას მხოლოდ ის სჯეროდა, რომ დღეს კოლექტივი უნდა ჩამოყალიბდეს, იცოდა ისიც, რომ კულაკები აუცილებლად გამოსვლას მოუწყობდენ, კრების ჩაშლას შეეცდებოდენ.

—ამხანაგებო,—უცბად იგრიალა ხალვაშმა.

სიჩუმე ჩამოვარდა.

სიჩუმემ გამბედაობა შემატა ხალვაშს.

თვალი გადაავლო მიწყნარებულ ხალხს და იმავე სიძლიერით განაგრძო:

—ღარიბებო! კლასიური მტრები თქვენს გვერდით სდგანან. კლასიური მტერი თქვენს გონებაში შეჭრილია. თქვენს აზრსა და გულს ეპოტინება. მათ უნდათ ძველებურად სისხლი გწოვონ, ძველებურად გიმსახურონ. უნდა შეებრძოლოთ მათ გამოსვლებს. სოციალიზმი მოვიდა თქვენთან, თქვენს ეზოში, სახლში, სადაცაა კერიასთან ჩამოჯდება და თქვენ კი მას გაურბიხართ. ვისაც არ უნდა, ის ზედმეტია ამ კრებაზე, ან შეუძლია წავიდეს.

ხალვაშისაგან სწორედ ამ სიტყვას მოელოდენ ერთი სურვილით მოაზროვნე ღარიბი გლეხები. თითქოს მან მათ ძარღვებში გამამხ-

ნევებელი, სისხლის ახალი და ძლიერი ნაკადი ჩაასხაო. ისინი ახმაურდენ, აყვირდენ. ისინი გარკვევით მოითხოვდენ:

—გავყაროთ კულაკები... კულაკები წავიდენ... ხელს გვიშლიან, ხელს!..

ხალვაში სდუმდა. გასცქეროდა კულაკების საწინააღმდეგოდ აღშფოთებულ ახალ ტალღას და სახეზე შეუმჩნეველი ღიმილით ელოდა უკანასკნელ ზედმეტ ადამიანის წასვლას.

მიდის ახმედ ტაგიძე.

ხალვაში ფიქრობს: „კულაკი“.

მიაბიჯებს მემედ ანანიძე: სულეიმანმა იცის, ესეც ტაგიძის სისხლისაა.

მოსწყდა ადგილს რამიზი: ჰუსეინი ამბობს—„კულაკების დამქაში“.

მიიპარება შებანი.

მიდიან ჩაქურებში გამოწყობილნი.

მიდიან ისინი, ვისაც კერასთან მჯდიც დაუხვდება, ბრინჯიც, შეჭამადიც. ვისაც გამოსახდელი აქვს კარაქი, ყველი, მოსაწველი ჰყავს ძროხა, ვისაც დასაბინავებელი ჰყავს საქონელი, მიდიან და მათ ზურგში მიჰყვება თვალაფდამსხმელი ყიჟინა.

უკვე საღამოა.

მთებზე და სოფელში ეშვება ბინდი და საპალახოებიდან ბრუნდება ხარი, ძროხა, ცხვარი. გაისმის კიდეც მათი ხმები: ბღავილის, ძახილის, ზმუილის.

ხალვაში, ჰუსეინი, სულეიმანი და მათთან ერთად საერთო რწმენის კოლექტივი, რჩებიან აქ. მათ მტკიცედ სჯერათ, რომ ისინი, ვინც ამ კრებას ჩამოსცილდენ, მათი მტრები არიან და რომ მომავალში უფრო ძლიერი ბრძოლები გადახდებათ მათთან.

კრებაზე დარჩა ოცდაათამდე გლეხი.

ეს იყო სოფლის ოცდაათი მოსახლე. მათ გვერდში ედგათ ცოლები, ბავშვები.

—ამ განცხადებაზე სათანადო ორგანომ იმსჯელა. გადაწყვეტილია მოიძებნოს ოცდაათი ჰექტარი მიწა, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს თქვენს კოლექტივს,— წარმოსთქვა ხალვაშმა.

ეს პატარა კოლექტივი შეჯგუფდა, ერთმანეთს გულღიად შეხედეს, გულღიად დაელაპარაკენ.

—რომ გაზაფხული არ გაგვიცდეს, მიწა საჩქაროდ უნდა გა-

მოვნახოთ, – დაიწყო ხალვაშმა,—თქვენც უნდა შეუდგეთ თესვას. უნდა დაუმტკიცოთ სოფლის ღარიბთა მტრებს, თუ რას ნიშნავს ერთად მუშაობა.

—მიწის გამოძებნა მივანდოთ ჰუსეინ კვესეიშვილს, სულეიმან ნოღაიდელს და აგრონომს,—სთქვა გამარჯვებით აღფრთოვანებულმა მემედალიმ.

წინადადება მიიღეს. კრება კმაყოფილი დაიშალა. მიწის გამოძებნას შეუდგენ.

* * *

1918 წლამდე აქ იყო სოფელი.

ამ სოფელს ერქვა რომანოვკა. სოფელი ატარებდა დღენაკლული მეფის გვარს და აქ მოსახლეობდა რუსის ყაზახობა.

ეს ის ყაზახობა იყო, რომლის იმედითაც რომანოვები სამასი წელი გრეხდენ მათრახებს, აშენებდენ საპყრობილეებს, აგებდენ სახრჩობელებს და აწიოკებდენ რევოლუციონურად განწყობილ მოსახლეობას.

ამ რომანოვკას, ისევე როგორც უკანასკნელ რომანოვს, უბედური ბედი ეწია.

სწორედ იმ წელს, როდესაც ოვალთ დაუბნელდა ყოფილ მეფეს, აილაგმა ეს სოფელიც.

ეს იყო 1918 წელი.

მენშევიკური ხელისუფლება მოუსვენრად გრძნობდა თავს. ის ებრძოდა თავის მეზობლებს, სუსტს, ძლიერს, მოძმეს, მოსახლეს.

და 1918 წელს ოსმალეთი წამოვიდა ბათომისაკენ. ამ კუთხის მოსახლეობასაც მოსწყინდა ომი. ისინი ხუთი წლის განმავლობაში ბათომის ფორტებიდან ყნოსავდენ ზარბაზნების კვამლის სუნს და ზღვის იქით გრძნობდენ შორეული ცეცხლის ალს.

შესძაგდათ ომი, სისხლის ღვრა, რადგან ეს ხელს უშლიდა თავისუფალ ცხოვრებას, რომელიც ასე ძლიერ უყვარს ყოველ აჭარელს.

მსოფლიო იმპერიალისტური ომი დამთავრდა; მენშევიკურმა მთავრობამ დაიწყო მშვიდობიანი მოსახლეობის აწიოკება.

შეშინებული სოფელი რომანოვკა აიყარა. მთელი სოფელი, როგორც ბოშური ქარავანი ისე დაიძრა.



მემედ ბაბუჩოღლი—ცისისპირი.

გამოვიდენ მაშინ შეზობელ სოფლების ძლიერნი და შეძლებულნი, გადაჰხედეს ამ დაცლილ მიდამოს და სთქვეს:

—ეს ჩვენი მამაპაპეული მიწები იყო. ალლაჰმაც ასე ინება და უკან დაგვიბრუნა...

რადგან ალლაჰმა ასე ინება, ღარიბი, ღატაკი გლეხები, რომელთაც ერთი მტკაველი მიწაც არ გააჩნდათ, დუმილით შეხვდენ ასეთ განაჩენს.

ყველაზე მეტს ალლაჰით ატყუებდენ მათ.

და დღეს ახმედ ტაგიძე, ან შემედ ანანიძე მწვანედ გადაშლილ ადგილებს თავის საბალახოებს რომ ეძახიან, ანდა მანდარინის ბაღები რომ გაუშენებიათ, ყოფილი რომანოვკაა. ესენი არიან სოფლის ყველაზე ძლიერი „არწივები“, რომელთაც შესძლეს სახელმწიფო მიწის მისაკუთრება.

* * *

ამ განთიადზე ნასოფლარის ადგილებისკენ მიემართებიან მემედალი და სულეიმანი, მათ მიჰყვება აგრონომი ჩეჩელაშვილი და აგროტექნიკი, რომელნიც ათვალიერებენ და არჩევენ საკოლექტივო მიწას.

ფერდობზე გაშლილია პირუტყვი. ისინი მოსჩანან წითლად, თეთრად, ჭრელ ფერებად. თეთრ ბალიშებივით დაფანტულან ცხვრები და სძოვენ ბალახს.

—აქ ავაგებთ ბეღელს. აქ კოლექტივის კანტორას. აქ ახორს,— ამბობს მემედალი და უთითებს აგრონომს ამორჩეულ ადგილებზე.

—აქედან კიდევ ოცდაათი ჰექტარი გადავზომოთ,—განაგრძო მემედალიმ და ორი გაბრწყინვებული თვალი, როგორც ორი ჩაუქრობელი სხივი, გადააფინა ათიეულ ჰექტარის მანძილზე.

აგრონომი და აგროტექნიკი შეუდგენ ზომვას. მიდიოდენ სულ წინ და თითოეულ ჰექტარს აღნიშნავდენ ცალკე. მემედალი და სულეიმანი ეხმარებოდა მათ. გული სიხარულით ევსებოდათ, სახე უბრწყინავდათ, სიცილში და მხიარულობაში გაჰყავდათ დღე.

დღე იღვრებოდა მზიდან. მზე იღვრებოდა დღეში და დღე დინჯად ჯურგს უბრუნებდა მზეს.

ჰაერში იდგა მწვანე ბალახის საღი სურნელება.

—სულეიმან, ამ მიწაზე ტრაქტორს რომ ავაგუგუნებთ, ზოგიც მაშინ ნახე, რა ამბავი ატეხოს ჩვენმა დუშმანმა.

—ხუთმეტი ჰექტარია, ხუთმეტი!..—მოისმა შორიდან ჩეჩელაშვილის ხმა. სულეიმანმა და მემედალიმ გაჰხედეს მას, შუა ველზე მდგარს. ის შორიდან მოსჩანდა მტკაველისოდენად. ორივენი აგრონომისაკენ გაემართენ.

სწორედ ამ დროს უფრო შორს, ვიდრე ჩეჩელაშვილი იდგა, გამოჩნდა პატარა მოძრავი საგანი, რომელიც თანდათან იზრდებოდა.

სულ მალე გარკვევით გაისმა ხმაც, უფროდაუფრო გაიზარდა და ბოლოს ღრიალად გადაიქცა.

ჩეჩელაშვილმა და აგროტექნიკმა მეთექვსმეტე ჰექტარში გადასდგეს ნაბიჯი. სახეზე სიცხისაგან ალმური ასდიოდათ. გადაიხსნათ საყელო, შეეხსნათ ქამარი და მკლავებ-დაკაპიწებულნი ზომავდენ მიწას.

ყვირილმა ჯერ მათთან მიაღწია, მერე მემედალის და სულეიმანსაც შემოესმათ.

—ჩემს მამაპაპეულს არავის დავანებებ. აქ შრომობდენ ისინი, მეც აქ უნდა მოვკვდე!—ყვიროდა და მორბოდა.

ცოტა ხნის შემდეგ გამოჩნდა მეორეც, ისიც ისეთივე სიჩქარით მორბოდა.

მემედალიმ და სულეიმანმა ხმაზე იცნეს ვინც იყო. სწრაფი ნაბიჯით მიირბინეს ჩეჩელაშვილთან.

გაცეცხლებული ახმედ ტაგიძე მორბოდა ნაჯახით ხელში, მისი თვალები ნაპერწკლებს ჰყრიდენ, მისი ტუჩები ბრაზს ანთხევდენ.

ის გაიძახოდა:

—ჩემს მიწას არავის დავანებებ!..

და ამ სიტყვებში გაისმოდა არა მარტო „ჩემი“, არამედ ბრაზი და ღვარძლი იმ ძალისადმი, რომელიც ამ „ჩემს“ სპობდა.

მოახლოვდა მეორეს ხმაც.

ყვიროდა მემედ ანანიძე. ხელში მსხვილი ჯოხი ეჭირა.

—ვინ არის ჩვენს საბალახოზე რომ შემოვიდა?— გაჰკიოდა ისიც და დაგეშილივით მოვარდა.

ნაჯახის მოქნევას მემედალის ძლიერმა მკლავებმა ძალა დაუკარგა. მაჯა გადაუგრიხა. ნაჯახი ძირს დააგდებინა: ცივი ოფლი გადმოასხა ახმედს სახეზე. საფეოქლები აუთანაშდა. ტუჩები აუძაგძაგდა. ვერც მოსულმა მემედმა მოიხმარა ჯოხი. ორივენი გაშეშდენ, დაუძლურდენ.

—ვილაცის ზურგში თოფი იჭექებს... ვინც უკეთესია, ის მოკვდება,—ჩაილაპარაკა ახმედმა და თავის სახლ-კარისაკენ წავიდა.

—მიწას მაინც მოვზომავთ, კოლექტივს მაინც დავაარსებთ,— მათ გასაგონად ხმამაღლა წარმოსთქვა მემედალიმ და ნაჯახიც და ჯოხიც ზურგში მიუგდო მიმავალს.

მიწის მოზომვა განაგრძეს.

ბინდისას, როდესაც მთიდან ნახირი ბრუნდებოდა, მეოცდაათე ჰექტარის ბოლოს უკვე ჩასმული იყო ხე, რომელზეც ეკრა ფიცარი და დიდი უსწორმასწორო ასოებით ეწერა: „კოლექტივის მიწა“.

ამ წარწერის პირდაპირ ახმედ ტაგიძის და მემედ ანანიძის სახლკარი იდგა.

მემედ ფოფანაძე

ძვირფასი ჯილდო

სურიე გვიან დაბრუნდა პოლიკლინიკიდან.

დღეს ჩვეულებრივზე მეტი ავადმყოფი მიიღო.

მოიქანცა...

კინო-თეატრში ახალი სურათი მიდიოდა და იქ გამოიარა. ამ-ხანაგებიც ეახლენ.

—მოხველი შვილო? —თვალების ფშვნეტით კითხა შვილს.

—არა. —ღიმილით უპასუხა სურიემ.

ემინესაც გაეღიმა უაზრო შეკითხვის პასუხზე.

—არ გეშინია ამ ღამით რომ მარტო დადიხარ?—

—ვისი უნდა მეშინოდეს? —სურიე დედასთან მივიდა და ტახ-ტზე ჩამოჯდა.

ემინე ისე ბედნიერი იყო ამ დროს, რომ მეტოქეც არ ეგულე-ბოდა დელამიწის ზურგზე: თვალები გაიჟღლიმა, თავი გაისწორა ბა-ლიშზე და შვილს შეხედა.

ლამაზი ლოყები ოდნავ წამოწითლებოდა სურიეს. თვალები ეშხით კიაფობდენ.

—ლამაზია —გაიფიქრა ემინემ—ვინმე კარგი კაცი უნდა გა-მოურჩიო.

—ახლა ერთი კაი კაცი კი გინდა შენ—გულუბრყვილო კილო-თი უთხრა შვილს.

სურიემ გადაიკისკისა. დედას შუბლზე აკოცა. წამოდგა. სარ-კესთან მივიდა და თმის სწორება დაიწყო.

—ერთი ბავშვიანი ქალი იყო შენთან.—ცოტახნის სიჩუმის შემ-დეგ უთხრა დედამ.

—ბავშვიანი!? —გაიკვირვა სურიემ.

—ჰო... ძალიან შემეცოდა. თუ ცოცხალი გამყვა, დილით ად-რე მოვალო... დილით თქვენთან ყოლია პოლიკლინიკაში—უთხრა ემინემ.

სურიეს მოაგონდა ავადმყოფ ბავშვიანი ქალი.

ის ერთი წელია ექიმია. საბჭოთა ქვეყნის ახალი კადრი. უმაღლესი სასწავლებლის კარებს აჭარიდან პირველად ოცამდე აჭარელი გოგონა მიადგა. ეს ახალი ისტორიის ფურცელი იყო დედამიწის არსებობის განმავლობაში. იმ ოც გოგონაში ექიმობა მარტო სურიემ აირჩია. ვინ ინჟინეროობა ირჩია, ვინ პედაგოგობა, ვინ კიდევ აგრონომობა.

წარჩინებულად დაამთავრა სურიემ სასწავლებელი.

* * *

სურიემ ტანზე გაიხადა და ჩაწვა.

„თუ ცოცხალი გამყვა დილამდე“—მოაგონდა დედის ნათქვამი, ავადმყოფ ბავშვის დედის სიტყვები.

—ვინ იცის —იქნებ ახლა ეთხოვება შვილს?—გაიფიქრა და ტანში გააჟრჟოლა.—

სადღაც მამალმა იყივლა.

პირველი სრულდებოდა.

—რატომ არ გძინავს შვილო? —გაეხმაურა დედა.

—არ ვიცი...

დახუჭა თვალები დასაძინებლად.

თვალწინ მორჩილი ტანის ქალი დაუდგა ავადმყოფ ბავშვით.

„თუ გააწია დილამდე“—კიდევ ჩასჩურჩულა ყურში ვიღაცამ.

—მაშ რატომ გამოგზარდეს შენ? --მისცა გულმა შეკითხვა სურიეს— თუ თვითეული ავადმყოფის ტკივილს არ იგრძნობ.

—შენ ხომ გამოგზარდა საბჭოთა ხელისუფლებამ და გასწავლა რომ გასინჯო ავადმყოფი და არა მისი ჯიბე. რა უფლება მაქვს გულგრილად შევხვდე მშრომელთა ტკივილებს?—

—კიდევ არ გძინავს შვილო?—კიდევ გაეხმაურა დედა, როცა შვილს მოუსვენრობა შეამჩნია.

—არა... და შემდეგ თითონ შეეკითხა დაუძინებლობის მიზეზი.

—მე რომ არ დამეძინოს—გასაკვირი არაა შვილო. მოვხუცდი. მოხუცს ძველი და ახალი აგონდება და შიგ ბოდიალობს... საწყალი ის ქალიც მეცოდება...

სურიე მიხვდა, თუ ვისზე ლაპარაკობდა დედა.

—სად ცხოვრობს ნეტავ? იკითხა მან.

დედამ მოიგონა უცნობი ქალის მიერ ნათქვამი მისამართი.

სურიე წამოდგა და ტანზე ჩაცმა დაიწყო.

—რას შვები?—შეეკითხა დედა.

—უნდა წავიდე.

დედა მიხვდა სად აპირებდა წასვლას და არ დაუშალა. პირიქით, გაუხარდა კიდეც.

...სურიე მალე გაჩნდა ავადმყოფის კარებთან.

—ვინ არის?—მოისმა ხმა და კარებიც გაიღო. ნაცნობი ქალის სახე მოეგება სურიეს.

—მობრძანდით! —ძლივს მოახერხა ქალმა.

სურიე შევიდა. ოთახი სუფთად დალაგებული იყო. გარდა ქალისა და ბავშვისა არავინ იყო.

—მარტო ვცხოვრობთ. მამამ ექვსი თვის წინ მიატოვა ჩემი ბიჭიკო...

—როგორაა ბავშვი?—იკითხა სურიემ და ხელის ჩანთა მაგიდაზე დადო.

—მთელი დღეღამე ასე კვნესის და სწუხს,—უპასუხა ქალმა—ძუძუსაც აღარ სწოვს... სიცხეც მატულობს... იწვის... ცრემლებით აევსო თვალები.

სურიემ ბავშვი დაბეჯითებით გასინჯა.. ფილტვები, გული სალი ჰქონდა... ბავშვი კვნესოდა. სახეზე ალმური ადიოდა. თვალებს ვერ ახელდა. ეგონა ბევრი რამ იცოდა... მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ ახლა არაფერი იცის.

მარჯვენა ყურთან ხელის შეხებისას ბავშვმა ცივი ხმით ისივლა... ხმა წაუვიდა... სურიემ მოაცილა ხელი. მიაგნო მიზეზს... მას არასოდეს არ გაუსინჯავს ყურის ტკივილით დაავადებული. სარკეზე ანარეკლი შუქი ყურში შეანათა... ღრუში სინათლე და წამოსიება შეამჩნია. მეორე ყურში ყველაფერი რიგზე იყო.

სიხარულით გული გაეხსნა.

—საშიში არაფერია—უთხრა მან ბავშვის დედას. ექიმის ასეთი სიტყვები მუდამ სიხარულის მომგვრელია. სურიემ თავის ძმის ენვერის ავადმყოფობის დროს იგრძნო ეს სიხარული... აქაც ისეთივე სიხარული გადმოლაგდა.

ხელჩანთა სასწრაფოდ გახსნა... პატარა შუშით წამალი ამოიღო. ეს წამალი დედისათვის ჰქონდა წამოღებული (მოხუცი ყურებს იტკივებდა). გაეხარდა, რომ სწორედ ამ ავადმყოფობის საწინააღმდეგო წამალი აღმოაჩნდა.

რამოდენიმე წვეთი ჩაასხა ყურში.. ბავშვმა უკანასკნელი ძალა მოიკრიფა და იკივლა.. შემდეგ მოჭრილ ხესავით დაეცა.. თავი გადაკიდა და მისავებული კვნესა დაიწყო.

დედამ ძუძუ მიაწოდა, მაგრამ ბავშვმა არ მიიღო. კვნესა თანდათან შეანელა და თითქოს გათავდა.. თვალები დახუჭა და კვნესაც შეწყვიტა.. დედამ ყური დაადო გულზე. ბავშვი სუნთქავდა. ეს სუნთქვა არ გავდა მწუხარე ადამიანის სუნთქვას.

—ჩაეძინა. —უთხრა სურიემ დედას.

ქალმა გაღიმებით შემოხედა.

— დაბრძანდით!

სურიე ჩამოჯდა.

—რამ მოგავლინათ ჩემდა მხსნელად? —შეეკითხა ქალი სურიეს.

– მოვალეობამ —უპასუხა სურიემ.

ქალებმა კარგა ხანს ილაპარაკეს.

ფანჯარაში სინათლის შუქი შემოიჭრა... გათენებულიყო.

ბავშვმა შეიკვნესა ღონივრად... დედა მივიდა და ძუძუ მიაწოდა. პატარა თვალებ გაუხელელად მოება ძუძუს და ღონივრად მოქაჩა..

სურიე მივიდა და მაჯა გაუსინჯა.. სიცხე კლებულობდა.

—კარგად არის—ღიმილით უთხრა მან დედას. —საღამოს ისევ ვინახულებთ, ორ დღეში ყველაფერი გაივლის.

დედა წამოდგა. მაგიდის ყუთიდან რაღაც ამოიღო და სურიესთან მივიდა.

—თქვენი შრომის ჯილდო ამით არ გადაიხდება, მაგრამ... თუმნიანი გაუწოდა სურიეს.

სურიეს თითქოს დაარტყეს. შეკრთა. სახეზე სიწითლე წამოაწვა.

—არა. არ მინდა. პარტიას, საბჭოთა ხელისუფლებას მე მაგისთვის არ გაძოუზრდივარ. მაგით ამ ბიჭიკოს სათამაშოები უყიდე —უთხრა და პაწიას თავზე გადაუსვა ხელი.

პატარამ ძუძუს მოაცილა პირი, სურიესაკენ გადააბრუნა თავი და ბავშვური კმაყოფილებით გაუღიმა.

—აი ჩემი ყველაზე ძვირფასი ჯილდო—სთქვა სურიემ და კმაყოფილი წამოვიდა სახლში.

ნადიმ ნიჟარაძე—ჭოროხის ხეობა.

ზემალ ნოღაიდელი

აჭარის ძველი ისტორიული ძეგლები

აჭარა არქეოლოგიური თვალსაზრისით მეტად საინტერესო უბანს წარმოადგენს.

ხალხთა მრავალ კულტურას მიუღწევია აჭარამდე და თავისი კვალი დაუტოვებია.

ახლახან აღმოჩენილი ძველი ქალაქის ნანგრევები ბეშუმთან ახლოს, რომელიც ვეებერთელა ფართობზეა მოფენილი, უთუოდ უძველესი ქალაქის ნანგრევებია. მისი გამოკვლევა ბევრ ახალს შეიტანს აჭარელთა წარსულ სინამდვილის შესწავლაში.

ციხისძირის ციხე მოხსენებულია უძველეს ბერძნულ და რომაულ წყაროებში. პროფ. ს. ყაუხჩიშვილის მიერ გამოცემულ „გეორგიკაში“ რამდენჯერმეა ნახსენები, როგორც მნიშვნელოვანი სიმაგრე კოლხეთის დასავლეთ საზღვარზე.

იგი ისტორიაში ცნობილია, როგორც ამას ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი გადმოგვცემს, უძველეს ქალაქ პეტრას ცენტრად.

თამარის ციხე ქართულ ზეპირ გადმოცემებში თამარ მეფის სახელთან არის დაკავშირებული. ამ ციხე-სიმაგრის ირგვლივ გაშენებული ყოფილა პატარა ქალაქი, შემოვლებული ქვის გალავნით და დაცული მრავალი ციხეებით.

ეს ქალაქი, როგორც ამას ზოგიერთი მეცნიერი ფიქრობს, დღევანდელი ბათომის ერთგვარი წინაპარი უნდა ყოფილიყო.

გონიოს ციხე შედარებით ახალი დროის ციხე-სიმაგრეა. დარჩენილია ციხის კედლის ნანგრევები და სარკმლის ფრაგმენტები.

სხალთის ეკლესია შესანიშნავი ხუროთმოძღვრებითი ნაშთია, უძველესი დროის ნაგებობაა, შემკული იშვიათი ჩუქურთმებით, თაღოვანი ფანჯრებით და ფოთლოვანი კარნიზებით.

ქართული ხუროთმოძღვრების და არქიტექტურის ეს უაღრესად მნიშვნელოვანი ძეგლი მოხსენებული და ვრცლად აღწერილია

პროფ. თაყაიშვილის ნაშრომში—„არქეოლოგიური მოგზაურობა სამხრეთ საქართველოში“.

ვერნების ქვა—ქართული ორნამენტიკის იშვიათი ძეგლია. აღნიშნული ქვა ეკლესიის კარის თაღს უნდა წარმოადგენდეს, რომელზედაც ასოთმთავრული ასოებით ეკლესიის ამშენებლების ვინაობაა გადმოცემული.

ამ იშვიათი ძეგლის გადმოტანა აჭარის სამხარეთმცოდნეო მუზეუმში აუცილებელია.

ხირხათის ციხე თავის დროზე, ალბად, უდიდეს სტრატეგულ ციხე-სიმაგრეს წარმოადგენდა. იგი გაშენებულია სხალთის ხეობის სათავეში მიუვალ ფრიალო კლდეზე, სარიჩაირის ახლოს. ხალხურ ზეპირ სიტყვიერებაში ამ ციხის აშენება თამარ მეფის სახელთან არის დაკავშირებული.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ აჭარაში არსებულ ისტორიულ ძეგლებს: ციხე-სიმაგრეები, ეკლესიები, ხიდეები და სხვა, ხალხი ყველას მე-12 საუკუნეს, თამარის დროს მიაწერს.

ხალხური თქმულება გადმოგვცემს: თამარს იმდენი ჯარი ჰყოლია, რომ აჭარის წყლიდან გამწკრივებულან, ციხის საშენი მასალა ხელიდან ხელში გადაუციათ და ერთი დღის განმავლობაში აუშენებიათ ციხეო.

როგორც ხალხური თქმულები გადმოგვცემს,ხირხათის ციხეში თამარს უკანასკნელად უცხოვრია და იქ მოუწამლავს თითქოს თავი. ერთ-ერთ შახს თამარის ცოლად შერთვა განუზრახავს. თამარს უარი შეუთვლია. შახი დიდი ჯარით თამარის წინააღმდეგ წამოსულა; ყველა ციხეები თამარს თურმე მაშინ აუშენებია.

როცა შახს ერთ ციხეში მიუგნია, იქიდან თამარს მეორე ციხისთვის შეუფარებია თავი და უკანასკნელად მისულა ხირხათის ციხეში და გაუმაგრებია ის. მისდგომია ციხეს შახი, მაგრამ ციხის აღება ვერაფრით ვერ მოუხერხებია. ბოლოს თამარის ამალიდან ერთი დედაკაცი მისულა შახთან და უთქვამს: „თუ დიდ საჩუქრებს მომცემთ, გავაღებინებთ ციხესო“.

შახი დაპირებია.

მოუყვანიათ ათასამდე თეთრი თხა. ამ თხებისთვის რქებზე სანთლები დაუმაგრებიათ, ბნელ ღამეში აუნთიათ სანთლები და ხირხათის ციხისკენ თხები ყოველმხრიდან გაურეკავთ.

ეს რომ თამარს დაუნახავს, უთქვამს: ჩემი ჯარი მაგათ ველარ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუმკლავდებაო და შებრუნებულა ციხეში. თამარს გადაწყვეტილი ჰქონია, რომ შახს ცოცხალი არ ჩავარდნოდა ხელში; რადგან არსად წასავალი არ ჰქონდა, მიულია საწამლავი და მოუკლავს თავი.

ციხიყელი—ასე უწოდებს ადგილობრივი ხალხი ამ ციხეს. ციხე გაშენებულია სოფელ ხიხაძირის ბოლოს, სადაც მდინარე ქოჩახი და კალოთა ერთმანეთს ერთვის. ისტორიულად მას ვარდის ციხე ეწოდება.

როგორც ჩანს, ეს ციხე ხირხათის ციხის ყელი ყოფილა და სათვალთვალო პუნქტს წარმოადგენდა.

ციხე დიაკონიძეებში გაშენებულია ფრიალო კლდეზე მუხნარში. მას აღმოსავლეთით მდ. უჩხუ ჩამოუდის, დასავლეთით გზა და დაბალი სერები აკრავს, ჩრდილოეთით—საყანე მიწებია, ხოლო სამხრეთით თვით სოფელი დიაკონიძეები აკრავს. ციხის ნანგრევებს ამჟამად უკავია დაახლოებით ასორმოცდაათი კვადრატული მეტრი. ციხის კედლები დულაბით არის ნაგები, ხოლო გარედან მსხვილი ქვების პერანგი აქვს შემოვლებული. ნაწილი ციხის კედლებისა ადგილობრივ მცხოვრებლებს ჩამოუნგრევიათ და საშენ მასალად გამოუყენებიათ.

ელიას ციხე და ჯიხანჯური (ქობულეთის რაიონი) უსათუოდ ძვირფასი ისტორიული ძეგლებია, რომლებიც საჭიროებს შესწავლა-გამოკვლევას.

განა მარტო ესენი? კიდევ მრავალი ძეგლია აჭარაში აღუნუსხველი. ისინი უსათუოდ საჭიროებენ შესწავლას.

დანდალოს უბოძო, მრუდე ხიდი, ხალხური გადმოცემის მიხედვით მეთორმეტე საუკუნეს დროინდელია; ის ხიდების შენების ხელოვნების საუკეთესო ნიმუშია, ნაშენი თავისებურად, გათლილი გრანიტის ქვებით და კირქვით.

მახუნცეთის ხიდის შესახებ იგივე შეიძლება ითქვას, რაც დანდალოს ხიდის შესახებ.

აჭარის ისტორიული ძეგლები უსათუოდ უნდა იქნას შესწავლილი.

ს ა რ ჩ ე ვ ი

		გვ.
გალაქტიონ ტაბიძე	ოცნება აჭარისწყალთან	5
	საღამო ჩაის ჭალებში	6
მუხამედ მეგრელიძე	რიყეთის კოლმეურნეებს	7
ალიო ადამია	ქარიშხალი	8
	აჭარული პეიზაჟი	13
მამუდ ვარშანიძე	კოლმეურნეობაში	16
სურიე პაპუნაშვილი	აჭარის სოფელი	17
გრიგოლ ცეცხლაძე	ბათომში, ზღვასთან	18
	გონიო	19
	ახალ აჭარაში	22
ფატუმე დადიანი	აიშე	25
	ჩემი ქვეყანა	26
ასლან კაიკაციშვილი	საბჭოთა აჭარას	27
პ. რურუა	საბჭოთა აჭარა თხუთმეტი წლისაა	28
	მთის ნიავებო	28
შალვა იოსელიანი	სტალინური თაობა	29
	ფორთოხლების ქარავანი	30
	გარიჟრაჟი	31
	გაზაფხული	32
ნ. მანიძე	ახლა იმ ხევში ელსადგურია	34
ხასან ოქროპირიძე	შრომის სიხარული	38
პ. ლორია	მანდარინები	39
ა. თარიშვილი	შუჰედის ნოველები	44
ელ. პოლუმორდვინოვი	პირველი დილა (რომანიდან „იღვიძებენ მთები“)	53
მემედ გოგაძე	ძვირფასი ჯილდო	65
ჯემალ ნოღაიდელი	აჭარის ძველი ისტორიული ძეგლები	69

ფასი 5 მან.